პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სამშაბათი 4 ივლისი 1939 წ. № 151 (5551) ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს გაზეთში

სასახელოდ შევასრულოთ აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა (მოწინავე)
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის შინსახკომის სანაპირო ჯარების წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა დაჯილდოების შესახებ (1-ლი გვ.)
საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში (1-ლი გვ.)
პროფ. მოსე გოგიბერიძე — სოციალ-ეკონომიურ ფორმაციათა ძირითადი ტიპები (მე-2 გვ.)
ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ საკარმიდამო მიწების აზომვას (მე-3 გვ.)
გ. ი. სტვილია — განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში და საფინანსო დისციპლინა (მე-3 გვ.)
უცხოეთში:
ამერიკის კონგრესის გადაწყვეტილება (მე-4 გვ.)
ჰელის განცხადება (მე-4 გვ.)
მდგომარეობა დანციგში (მე-4 გვ.)
რა ხდება გერმანიის დასავლეთის საზღვარზე (მე-4 გვ.)

სასახელოდ შევასრულოთ აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

ორდენოსანი საქართველოს სოფლის მეურნეობაში მეაბრეშუმეობას ერთერთი საპატიო ადგილი უჭირავს. პარტიისა და მთავრობის უდიდესი ყურადღებისა და მზრუნველობის შედეგად აბრეშუმის პარკის გამოსავლიანობა და მისი საერთო პროდუქცია ომამდელ დონესთან შედარებით ერთი-ორად და კიდევ მეტად გაიზარდა. აბრეშუმის გავრცელების მიხედვით მთელ სსრ კავშირში საქართველოს მეორე ადგილი უჭირავს და იგი აბრეშუმის საერთო პროდუქციის 17 პროცენტს იძლევა.

ამჟამად საქართველოში 150.000-ზე მეტი მეაბრეშუმეა, რომლებიც სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლითა და აგროტექნიკის დაუფლებით ყოველწლიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. საკმარისია ითქვას, რომ შარშან თვითეულ კოლოფ აბრეშუმის თესლზე რესპუბლიკაში საშუალოდ 43,2 კილოგრამი პარკი იქნა მიღებული, ნაცვლად 13,6 კილოგრამისა 1932 წელს. აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლის შედეგად საქართველოს 960 მეაბრეშუმემ მოიპოვა უფლება მონაწილეობა მიიღოს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

კიდევ უფრო სერიოზული და საპატიო ამოცანები დგას საქართველოს მეაბრეშუმეთა წინაშე მიმდინარე წელს. წელს თვითეულ კოლოფ აბრეშუმის თესლზე უნდა მივიღოთ საშუალოდ 45 კილოგრამი მოსავალი და მარტო პირველი გამოკვებიდან სახელმწიფოს ჩავაბაროთ სულ ცოტა 35.100 ტონა პარკი.

საქართველოს მოწინავე მეაბრეშუმეები, რომლებიც ფართოდ იყენებენ ქისტაურის სტახანოველ მეაბრეშუმეთა მდიდარ გამოცდილებას, ბრწყინვალე წარმატებებს აღწევენ ამ საპატიო დავალების შესრულებაში. მაგალითად, წულუკიძის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა მეაბრეშუმემ ოლია ლაითაძემ 40-45 დღის ნაცვლად 24 დღეში დაამთავრა ჭიის გამოკვება და 17,5 გრამი თესლიდან 165,7 კილოგრამი პარკი ჩააბარა სახელმწიფოს, სამჯერ მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. ლაგოდეხის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა ანა ტომილინამ, რომელიც სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატად არის წარდგენილი, წელს ერთ კოლოფ თესლზე 78 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი მიიღო. ასეთი მაგალითები ძალიან ბევრია.

თესლის ინკუბაციის მაღალხარისხოვნად ჩატარებამ, აგრომომსახურების გაუმჯობესებამ და ქისტაურელთა გამოცდილების მასობრივად გავრცელებამ დიდად შეუწყო ხელი საერთო წარმატებას. შემცირდა დაავადების შემთხვევები, გაუმჯობესდა პარკის ხარისხი და მოსავალიც შარშანდელთან შედარებით ადრე შემოვიდა. 30 ივნისისათვის საქართველოში 33.247,2 ტონა პარკი იყო დამზადებული — გეგმის 94,7 პროცენტი.

ამავე რიცხვისათვის პარკის დამზადების გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით ჰქონდათ შესრულებული თბილისის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, კასპის, სიღნაღის, ლაგოდეხის, თელავის, ყვარლის, ზესტაფონის, ჭიათურის, ვანის, ჩოხატაურის, ცაგერის, ჩხარის, ფოთისა და მახარაძის რაიონებს.

მიღწევებთან ერთად ცალკეულ რაიონებში არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. მეაბრეშუმეობის ისეთმა ძირითადმა რაიონებმა, როგორიცაა სამტრედია, ქუთაისი, ცხაკაია, აბაშა, წალენჯიხა და სხვ., უკანასკნელ დღეებში შეასუსტეს პარკის დამზადების ტემპები. კერძოდ, სამტრედიის რაიონს, სადაც 2.764,4 ტონა პარკი უნდა დამზადდეს, გეგმა მხოლოდ 83,8 პროცენტით აქვს შესრულებული. ამ რაიონმა („რაიაბრეშუმის" გამგე კ. თევდორაძე, უფროსი აგრ. ა. ხუხუნაიშვილი) ივნისის მესამე ხუთდღიურში გეგმის შესრულებაში 36 პროცენტის მატება მოგვცა, მეოთხე ხუთდღიურში 8 პროცენტისა, მეხუთე ხუთდღიურში კი იგი 3,9 პროცენტამდე შემცირა. ზუგდიდის რაიონში („რაიაბრეშუმის" გამგე ვ. სარია) უკანასკნელ დეკადაში წინა დეკადასთან შედარებით 6-ჯერ და კიდევ უფრო ნაკლები პარკი დამზადდა, ცხაკაიას რაიონში („რაიაბრეშუმის" გამგე ვ. ფაჩულია, უფროსი აგრონომი არზიანი) — 19,2-ჯერ ნაკლები და სხვ. პარკის დამზადების ტემპების შენელება კი, რაც ცუდი მუშაობის შედეგია, საფრთხეში აყენებს წლიური გეგმის შესრულებას.

გეგეჭკორის რაიონის სოფ. ნაჯახაოში, ტალერში, სალხინოში, ონოღიაში და სხვ. ცუდი მოვლის შედეგად ადგილი აქვს აბრეშუმის ჭიის დაავადების შემთხვევებს. მოელ რიგ სოფლებში მეხუთე პარკის ჭიას 4-5-ის ნაცვლად დღეში 1-2-ჯერ ჰკვებავენ, არ უცვლიან ნაძირს, არ ასუფთავებენ საჭიე ბინებს, ადგილი აქვს ხვევადაუმთავრებელი პარკის ჩაბარების შემთხვევებს, რაც ცუდ გავლენას ახდენს ხარისხზე.

ჩხარის რაიონის მთელ რიგ სოფლებში, როგორიცაა ძევრი, თერჯოლა, თუსი, თავასა, რუფოთი და სხვ., მიუხედავად მთავრობის დადგენილებით აკრძალვისა, ადგილი ჰქონდა სახლებში აბრეშუმის თესლის კუსტარულად გამოყვანისა და მისგან მიღებული ჭიის გამოკვების მასობრივ შემთხვევებს. გურჯაანის, თელავის, ბაღდათისა და სხვა რაიონებში შემჩნეულია აგრეთვე ცალკე მეაბრეშუმეთა მიერ აბრეშუმის პარკის ამოხვევა.

ამ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორება ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმას ხარისხის დაცვით ასრულებდეს არა მარტო რაიონი, არამედ მასში შემავალი თვითეული სოფელი, თვითეული კოლმეურნეობა და ცალკე მეაბრეშუმე. ამისათვის კი საჭიროა მუშა-ხელის სწორად განაწილება, აგრომომსახურების კიდევ უფრო გაუმჯობესება, სტახანოველთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება და მასობრივი მუშაობის იმგვარად დაყენება, რომ აბრეშუმის პარკის მთელი მოსავალი ჩაბარდეს სახელმწიფოს.

მალე დაიწყება აბრეშუმის ჭიის განმეორებითი გამოკვება. განმეორებითი გამოკვებისაგან წელს ჩვენ უნდა მივიღოთ სულ ცოტა 480 ტონა პარკი, 35 კილოგრამი თვითეული კოლოფი თესლიდან. ეს მეტად სერიოზული დავალებაა. საჭიროა მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ ხელი ამ საქმეს, საგრენაჟო ქარხნებმა კიდევ უფრო გააუმჯობესონ აბრეშუმის თესლის ხარისხი, დაწესებულ ვადებში დავამთავროთ კონტრაქტაცია, უზრუნველვყოთ საინკუბაციო კამერებიდან ჭიის დროზე გაცემა და მისი წესიერი მოვლა.

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა მთლიანად უნდა შესრულდეს.

ფართოდ გავშალოთ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება, ვიბრძოლოთ აბრეშუმის პარკის კიდევ უფრო უხვი და ბარაქიანი მოსავლისათვის, კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის, 1940 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის,—ასეთია ამოცანა.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

3 ივლისს ამხ. მოლოტოვმა მიიღო ინგლისის ელჩი. ბ-ნი სიიდსი, საფრანგეთის ელჩი ბ-ნი ნაჯიარი და ბ-ნი სტრენგი, ამხ. მოლოტოვმა გადასცა მათ საბჭოთა მთავრობის პასუხი ინგლის-საფრანგეთის უკანასკნელ წინადადებებზე. საუბარმა საათზე მეტ ხანს გასტანა.

ლექცია თანამედროვე ეპოქაში ომების ხასიათის შესახებ

2 ივლისს, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგა ბრიგადის მეთაურის ამხ. ა. ფ. ანისოვის ფასიანი ლექცია თემაზე—„თანამედროვე ეპოქაში ომების ხასიათის შესახებ". აუდიტორია ყურადღებით ისმენდა ლექციას, რომელიც გაგრძელდა 2 საათამდე. ლექტორმა მოუთხრო აუდიტორიას თანამედროვე იმპერიალისტური, მტაცებლური ომების გამომწვევ მიზეზებზე. თანამედროვე ვითარების იმ ბრძნულ ანალიზზე, რომელიც მოცემულია ამხანაგ სტალინის გენიალურ მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე.

ლექტორი ვრცლად შეეხო აგრეთვე სამართლიანი და უსამართლო ომების საკითხს და იმ უახლოეს მოვლენებს, რომლებიც ამჟამად ვითარდება მსოფლიო ასპარეზზე, კერძოდ ფაშისტ აგრესორთა მტაცებლურ ზრახვებს, რომელნიც ცდილობენ ახალი პროვაკაციული გამოსვლებით ჩაითრიონ საბჭოთა კავშირი ომში.

ლექციამ დიდი ინტერესი გამოიწვია მსმენელებში. შემოვიდა რამდენიმე შეკითხვა, რომლებზედაც ლექტორმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

ერთერთმა ამხანაგმა ლექტორს მისცა მეტად საინტერესო შეკითხვა თუ რაში მდგომარეობს თანამედროვე ომის ძირითადი ოპერატიულ - ტაქტიკური თავისებურებანი. ამ შეკითხვით ბევრი სხვა ამხანაგებიც დაინტერესდნენ. ლექტორმა განაცხადა, რომ ეს საკითხი წარმოადგენს მეტად საინტერესო თემას და რომ საჭიროა ამ თემაზე ცალკე ჩატარდეს ლექცია.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის შინსახკომის სანაპირო ჯარების წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების დაცვაში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ და თავდადებით შესრულებისათვის, მამაცობისა და გულადობისათვის, რაც გამოჩენილ იქნა სსრ კავშირის საზღვრების დაცვის დროს, — დაჯილდოებულ იქნან სსრ კავშირის შინსახკომის სანაპირო ჯარების წითელარმიელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები:

ლენინის ორდენით

1. ივანე სერგეის-ძე **ალდაბაევი**, წითელარმიელი.
2. მიხეილ მოსეს-ძე **ჟიტკოვი**, წითელარმიელი.
3. პეტრე ალექსის-ძე **მატვეევი**, წითელარმიელი.
4. ვასილ ივანეს-ძე **მატრონინი**, კაპიტანი.
5. ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **უგლოვი**, კაპიტანი.

„წითელი დროშის" ორდენით

1. ალექსანდრე ივანეს-ძე **ანტროპოვსკი**, წითელარმიელი.
2. ნიკოლოზ ივანეს-ძე **ვოლკოვი**, წითელარმიელი.
3. ანდრია ივანეს-ძე **დაურცევი**, წითელარმიელი.
4. ივანე ანდრიას-ძე **ერკო**, წითელარმიელი.
5. ნიკიფორე ნიკიფორეს-ძე **ჟიბა**, პოლიტხელმძღვანელის მოადგილე.
6. ივანე ნიკოლოზის-ძე **კოლოშნიცინი**, წითელარმიელი.
7. ექვთიმე დანიელის-ძე **კურბალი**, წითელარმიელი.
8. პეტრე დიმიტრის-ძე **კარმანოვი**, ათეულის მეთაური.
9. მიხეილ ნიკიტას-ძე **კატუშკოვი**, წითელარმიელი.
10. ნიკოლოზ ექვთიმეს-ძე **კოზლოვი**, წითელარმიელი.
11. ილია ივანეს-ძე **კისელიოვი**, წითელარმიელი.
12. ეგორ პავლეს-ძე **მალცევი**, წითელარმიელი.
13. გლებ ივანეს-ძე **ოსინცევი**, წითელარმიელი.
14. ვასილ ნიკიტას-ძე **სალომატოვი**, წითელარმიელი.
15. სიმონ ნიკიფორეს-ძე **ფილიპსკიხი**, უფროსი ლეიტენანტი.
16. კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე **ჩისტიაკოვი**, წითელარმიელი.
17. კონსტანტინე ივანეს-ძე **შჩეგლოვი**, წითელარმიელი.

„წითელი ვარსკვლავის" ორდენით

1. მიხეილ ტიმოთეს-ძე **კრილოვსკი**, მაიორი.
2. ივანე მათეს-ძე **კარპოვი**, ათეულის მეთაური.
3. თევდორე ეგორის-ძე **მალცევი**, წითელარმიელი.
4. ალექსანდრე ივანეს-ძე **რუშევი**, ბატალიონის კომისარი.
5. თევდორე ვლადიმერის-ძე **ფადეევი**, წითელარმიელი.

მედლით „მამაცობისათვის"

1. გრიგოლ ივანეს-ძე **ვოდოლაზი**, საგუშაგოს უფროსის თანაშემწე.
2. კონსტანტინე ექვთიმეს-ძე **დონჩენკო**, წითელფლოტელი.
3. რომან კალისტრატეს-ძე **დუდა**, წითელარმიელი.
4. ნიკოლოზ პეტრეს-ძე **დანილიჩევი**, წითელარმიელი.
5. ილარიონ არტემის-ძე **ჟიჟენკო**, წითელარმიელი.
6. კირილე ილიას-ძე **ზახარენკო**, წითელარმიელი.
7. პეტრე ივანეს-ძე **კანახინი**, წითელფლოტელი.
8. ივანე ვასილის-ძე **კოლესნიკოვი**, წითელარმიელი.
9. ვასილ გრიგოლის-ძე **კორნეიუკი**, მესანგრე ინსტრუქტორი.
10. ნიკოლოზ ივანეს-ძე **პაშჩენკო**, პოლიტხელმძღვანელის მოადგილე.
11. დიმიტრი ივანეს-ძე **სკობა**, საგუშაგოს უფროსის თანაშემწე.
12. დიმიტრი ივანეს-ძე **ჩურაკოვი**, წითელარმიელი.
13. ილიოდორ კონსტანტინეს-ძე **შუბინი**, წითელარმიელი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის"

1. ნიკოლოზ კუპრიანის-ძე **არიშევი**, უმცროს მეთაურთა შემადგენლობის სკოლის კურსანტი.
2. ვლადიმერ ივანეს-ძე **ვედი**, წითელარმიელი.
3. თევდორე ივანეს-ძე **ვორობიოვი**, უმცროს მეთაურთა შემადგენლობის სკოლის კურსანტი.
4. პავლე ალექსანდრეს-ძე **გოლოვანოვი**, ათეულის მეთაური.
5. გრიგოლ პეტრეს-ძე **გოლუბი**, წითელარმიელი.
6. ანატოლი თევდორეს-ძე **ჟიგალოვი**, წითელარმიელი.
7. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **კაზანკოვი**, ლეიტენანტი.
8. ივანე მიხეილის-ძე **კურილო**, მაიორი.
9. პეტრე პავლეს-ძე **კალუგა**, წითელარმიელი.
10. ვლადისლავ მიხეილის-ძე **ლაპიდოვსკი**, წითელარმიელი.
11. პეტრე გაბრიელის-ძე **მელნიკოვი**, პოლიტხელის მოადგილე.
12. ფედოსი ფედოტის-ძე **მალენკო**, ლეიტენანტი.
13. გიორგი ანდრიას-ძე **ოსპენიკოვი**, წითელარმიელი.
14. არისტრახ ტიმოთეს-ძე **რასპოპოვი**, წითელარმიელი.
15. პეტრე სერგოს-ძე **სტეფანენკო**, ლეიტენანტი.
16. ნიკოლოზ სერგოს-ძე **ტარაპატი**, წითელარმიელი.
17. გრიგოლ პეტრეს-ძე **ფროლოვი**, ათეულის მეთაური.
18. ვასილ ტიტეს-ძე **ხონდოშკო**, წითელარმიელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1939 წლის 2 ივლისი.



ქანდაკება „კომბაინერი", დადგმული სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონ „ციმბირის" ფასადთან.

ფოტოქრონიკა.

ბრძანებულება

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რუსეთის სფს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ

1. შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1939 წლის 29 მაისს მიღებული კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკებში საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების შექმნის შესახებ", შეიქმნას რუსეთის სფს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი.

2. დაეკისროს რუსეთის სფს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს რუსეთის სფს რესპუბლიკის სატვირთო და სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტის ხელმძღვანელობა და სწორი გამოყენების ორგანიზაცია, საავტომობილო პარკის (ავტოსარემონტო ქარხნები, მომსახურების სადგურები, ბენზინსვეტები) რემონტისა და მომსახურების ორგანიზაცია, აგრეთვე კადრების მომზადება საავტომობილო მეურნეობისათვის.

3. იმ საავტომობილო მეურნეობათა და მათთვის მომსახურების გამწევ საწარმოთა ნუსხას, რომლებიც უნდა გადაეცეს რუსეთის სფს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს, აწესებს რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ბადაევი

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კოზლოვი

1939 წლის 28 ივნისი.

მედიცინის 1.400 ახალი მუშაკი

კრასნოდარი, 1 ივლისი (საკდესი). დამთავრდა გამოსაშვები გამოცდები კრასნოდარის მხარის საშუალო სამედიცინო სკოლებში. 16 სასწავლებელმა მოამზადა 1.400 ფერშალი, ბებია, კბილის ექიმი, სამედიცინო და საბაგო და.

დღეს კურსდამთავრებულები ადგილებზე გაემგზავრებიან. ჯანმრთელობის დაცვის ახალგაზრდა მუშაკები მიემგზავრებიან შორეულ-აღმოსავლეთში, ყაზახეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, ბურიატ-მონღოლეთში, კრასნოდარის მხარის სოფლის შიდა რაიონებში.

კიევის წმინდა მაუდის კომბინატის საძირკვლის ჩაყრა

კიევი, 2 ივლისი (საკდესი). გუშინ დნეპრის მარცხენა ნაპირზე, დარნიცაში, მოხდა მესამე სტალინური ხუთწლედის გიგანტის—კიევის წმინდამაუდის კომბინატის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა. კომბინატი უნდა ამუშავდეს 1941 წელს. იგი ყოველწლიურად გამოიმუშავებს 4.200 ათას მეტრ მაუდს.

67.727 ტონა ანტრაციტი გეგმის გადამეტებით

შახტი, 2 ივლისი (საკდესი). დღეს შეჯამებულ იქნა კომბინატ „როსტოვუგოლის" მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

კომბინატის 7 მოწინავე შახტმა 67.727 ტონა ანტრაციტი ამოიღო ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით.

ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულების მხრივ პირველი ადგილი დაიკავა შახტ „ზაპადნო-კაპიტალნაიას" კოლექტივმა, რომელმაც 6 თვის განმავლობაში 46 ათასი ტონა ანტრაციტი ამოიღო გეგმის გადამეტებით.

მეტალურგიული კომბინატი ზემო-სვანეთის მთებში

ზემო - სვანეთის მთებში, ზღვის დონიდან რამდენიმე ათას მეტრ სიმაღლეზე, აღმართულია საქარხნო კორპუსები. ეს არის ცანის მეტალურგიული კომბინატის პირველი რიგი. ამჟამად იგი უკვე ამუშავებულია. მშენებლებს დიდ სიძნელეთა გადალახვა მოუხდათ: მასალისა და მოწყობილობის ერთი ნაწილი მთის ბილიკებზე საპალნითა და ზურგით არის ატანილი კომბინატის მშენებლობის ადგილას. შეუპოვარი, ბოლშევიკური ბრძოლით მუდმივი თოვლის რაიონში მაღარო შეიქმნა მოკლე ხნის განმავლობაში. დაბლა, მაღაროდან დაახლოებით ერთ კილომეტრ მანძილზე, აგებულია მეტალურგიული ქარხანა.

კომბინატში უმთავრესად სვანები მუშაობენ. ისინი წარმატებით ეუფლებიან მნგრეველისა და მბურღავის კვალიფიკაციას.

ამჟამად საავტომობილო გზატკეცილი გაჰყავთ მთებში; ეს გზა ქუთაისთან აკავშირებს კომბინატის ტერიტორიას. აგებენ საცხოვრებელ სახლებს, ამბულატორიას, უნივერსალურ მაღაზიას, მექანიკურ სახელოსნოს, დასახულია გამაუხვებელი ფაბრიკისა და ჰიდროელექტროსადგურის აგება. მაღარო ჯერჯერობით მხოლოდ ზაფხულობით მუშაობს. მთელი წლის განმავლობაში ქარხნის ექსპლოატაციისათვის გაკეთებულ იქნება სატვირთო და სამგზავრო საბაგირო გზები. (საქდესი).

საბჭოთა მთავრობის შენირულება ბულგარეთში წყალდიდობისაგან დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად

საბჭოთა მთავრობამ თავისი ბულგარელი რწმუნებულის ამხ. პრასოლოვის საშუალებით ბულგარეთის მთავრობის განკარგულებაში გადასცა 100.000 ლევი მდინარე როსიცის ადიდებისაგან დაზარალებული მოსახლეობის დახმარების საქმისათვის. (საკდესი).

რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები ოდესაში

ოდესა, 3 ივლისი (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.). 2 ივლისს დაიწყო რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები პიესა „არსენათი". წარმოდგენის წინ თეატრის ხელმძღვანელი ამხ. ა. ვასაძე მიესალმა მაყურებლებს ქართული ხელოვნებისა და ქართველი ხალხის სახელით. მესამე მოქმედების შემდეგ მთელი დარბაზის ტაშის გრიალში სტუმრებს მიართვეს ყვავილები. ხელოვნების საქმეთა საოლქო კომიტეტის სახელით სტუმრებს მიესალმა ამხ. როზენი, რომელმაც აღნიშნა რუსთაველის თეატრის კოლექტივის სცენიური ხელოვნების მაღალი ოსტატობა. წარმოდგენა გადაიქცა ხალხთა სტალინური მეგობრობის დემონსტრაციად.

ლ. ასათიანი

ბათუმის ნავსადგურმა გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

ბათუმის ნავსადგურმა თავი დააღწია ჩამორჩენას და 30 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა დატვირთვა-გადმოტვირთვის ნახევარი წლის გეგმა. თითქმის ნახევარზე მეტი ტვირთი გადამუშავებულია მექანიზაციის გზით.

ნავსადგურის კოლექტივი გულმოდგინედ იბრძვის ივლისის გეგმის შესასრულებლადაც. პირველ ივლისს ნავსადგურის კოლექტივმა 529 ტონა ტვირთის ნაცვლად გადაამუშავა 1094 ტონა. 2 ივლისს 12 საათით ადრე დაამთავრა თბომავალი „პიონერის" გადმოტვირთვა, რითაც მიღებულ იქნა 1050 მანეთი ეკონომია.

თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრების გაშლით ახალ წარმატებას მიაღწია.

ფაბრიკამ 27 ივნისს შეასრულა ნახევარი წლის დავალება. მოქსოვა 2297 მეტრი სხვადასხვა სახის ქსოვილი, რაც გეგმის 108,3 პროცენტს შეადგენს.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ქსოვილის ხარისხი.

ნ. იტრიევი

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის ჯარისკაცთა დემორალიზაცია ჩეხიასა და მორავიაში

პარიზი, 3 ივლისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ მოიერიშეთა ის რაზმები, რომელნიც ფონ-ნეირატის „პროტექტორატს" იცავდნენ, დღეს დატოვებენ პრაღას და მათ შესცვლიან მოიერიშეთა სხვა რაზმები, რომელნიც ეს არის გერმანიიდან ჩამოვიდნენ. „როგორც ცნობილია,—იუწყება სააგენტო, — გერმანიის მთავრობამ თავდაპირველად ისეთი წესი შემოიღო, რომლის მიხედვითაც ჩეხიასა და მორავიაში დაბანაკებული გერმანიის ჯარი უნდა დარჩეს იქ 6 თვეს მაინც. მაგრამ გავიდა სულ მხოლოდ 3 თვე და გერმანელი ჯარისკაცები იმდენად დემორალიზებული აღმოჩნდნენ ჩეხების მიერ მათდამი მტრულ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით, რომ ამჟამად გერმანიის ხელისუფალნი იძულებული არიან ვადამდე შესცვალონ ეს ჯარისკაცები".

გერმანიის იარაღის გადასროლა დანციგში

ლონდონი, 3 ივლისი (საკდესი). გაზეთ „დეილი ჰერალდის" დანციგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ, დილის 2 საათზე, დანციგში გადმოტვირთულ იქნა 6 გერმანული ტანკეტი, მრავალი შაშხანა და ტყვიამფრქვევი. იარაღი გაგზავნილ იქნა პოლონეთის საზღვრისაკენ.

დანციგელ ფაშისტთა ხელმძღვანელის გამოსვლა

ბერლინი, 3 ივლისი (საკდესი). გუშინ ქალაქ ტიგენჰოფში (დანციგის მახლობლად) ფაშისტთა კრებაზე გამოვიდა დანციგელი ფაშისტების ხელმძღვანელი ფორსტერი. ფორსტერმა რამდენჯერმე გაილაშქრა ინგლისის წინააღმდეგ და განაცხადა, დანციგი მაინც გერმანიის იქნებაო.

ლიტველთა დაპატიმრება კლაიპედაში

ვარშავა, 3 ივლისი (საკდესი). 1 ივლისს, ღამით, გესტაპომ მრავალრიცხოვანი ჩხრეკა მოახდინა კლაიპედის (მემელის) ოლქის სანაპირო ქალაქ პეგეგენის მცხოვრებთა შორის. დაპატიმრებულია 11 ლიტველი. როგორც გაზეთი „აბცი" იუწყება ჩხრეკასა და დაპატიმრებას მიზნად აქვთ აღმოაჩინონ დიდი ანტიგერმანული ორგანიზაცია, რომელიც თითქოს შექმნილი აქვთ ლიტველებს კლაიპედის ტერიტორიაზე.

შინაბრძოლა ესპანელ ფაშისტთა ბანაკში

ფრანგული გაზეთი „ორდრის" კორესპონდენტი იუწყება, ქალაქ პამპლონის (ესპანეთის ჩრდილო ნაწილი) ქუჩებში „ფლანგისტებსა" და „რეკეტისტებს" (ნავარელ მონარქისტებს) შორის ამ ახლო ხანში მომხდარი სისხლისმღვრელი შეტაკების დაწვრილებით ცნობებს. ფალანგისტების ადგილობრივმა „ბელადმა" რეკეტისტებს საჯაროდ დასდო ბრალი „სეპარატიზმში". რეკეტისტები შაშხანებით შეიარაღებულნი გამოვიდნენ ქუჩაში. მომხდარი შეიარაღებული შეტაკების შედეგად მოკლულია 5 კაცი და დაჭრილია დაახლოებით 100 კაცი. პამპლონის ამბებმა იმდენად მძაფრი ხასიათი მიიღო, რომ გენერალი ფრანკო იძულებული გახდა სასწრაფოდ გაეგზავნა ავტომობილებით სანტანდერიდან პამპლონაში ჯარისკაცთა მთელი პოლკი. ჯარი ღამით ჩავიდა პამპლონაში და დილისათვის ქალაქის ყველა უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი დაიკავა. მაგრამ „აჯანყებული" რეკეტისტების წინააღმდეგ რეპრესიები არ გამოუყენებიათ, ვინაიდან ხელისუფალთ ეშინოდათ არ გამოეწვიათ კიდევ უფრო დიდი შეტაკებები. (საკდესი).

უკანასკნელი ექსპონატები გაიგზავნა მოსკოვში

გორი, 3 ივლისი (ტელეფონით, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან). 2 ივლისს, ღამის 6 საათზე გორიდან მოსკოვს გაიგზავნა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე სოფ. მერეთის კოლმეურნეობა „წითელი მერეთისა" და სოფ. შინდისის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების" უკანასკნელი 29 ექსპონატი.

ექსპონატებს შორის არის საუკეთესო ხარისხის ევროპული ჯიშის ვაშლის, ატმის, მსხლის, ზღმარტლისა და შინდის მსხმოიარე ნარგავები. ყველა ექსპონატი შეფუთულია კარგად და თავის მიწით მოთავსებულია სპეციალურ ყუთებში. ექსპონატებით დატვირთულ ვაგონებს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე მიჰყვებიან საქ. მიწსახკომის აგრონომი ა. ნაჭყებია, გორის რაიმიწგანის აგრონომი ს. მამაცაშვილი და სოფ. მერეთის სტახანოველი კოლმეურნე იოსებ მახარაშვილი. ექსპონატები მოსკოვს იქნება არა უგვიანეს 10 ივლისისა.

არ. კოკილაშვილი

საკოლმეურნეო სოფელს ახალი კადრები

ბათუმი (საკ. კორ.). აჭარის კოლმეურნეობების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლა, რომლის მსმენელთა მორიგი გამოშვება 29 ივნისს მოხდა, 78 კაცმა დაამთავრა. სკოლაში სწავლობდნენ კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები, ბრიგადირები, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 27 მაისის დადგენილების გარშემო კურსდამთავრებულთა შორის საუბარი ჩაატარა საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბარამიამ. მან დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა დადგენილებაში მოცემულ იმ საბრძოლო ამოცანებზე, რომელთა განუხრელად გატარებამ უნდა უზრუნველჰყოს საკარმიდამო მიწების წესიერი იზომვა და კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცება.

კ. დობორჯგინიძე.

აღრიცხვის ფორმები არ მიგვიღია

წლის პირველი ნახევარი უკვე გავიდა, ბათუმის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებს კი „საქორგაღრიცხვიდან" ჯერაც არ მიუღიათ აღრიცხვის ფორმები.

გორკის, ტელმანისა და პაპანინის სახელობის კოლმეურნეობებს დღემდე არა აქვთ მიღებული შრომადღეების აღრიცხვისა და კოლმეურნეებთან ანგარიშ-სწორების წიგნები. აღრიცხვის ფორმებისათვის საჭირო ფული კი „საქორგაღრიცხვას" კარგა ხანია გადარიცხული აქვს.

აღრიცხვის ფორმების მიუღებლობა ძალიან აფერხებს კოლმეურნეობათა ანგარიშწარმოებას. საჭიროა ამ საქმეში საქ. მიწსახკომის ჩარევა.

ტ. მიქაძე

ბათუმის რაიმიწგანის ინსტრუქტორ-ბუღჰალტერი.

გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით

ორჯონიკიძის რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა. ნაცვლად 20.400 კილოგრამისა, 29 ივნისისათვის დაამზადა 20.730 კილოგრამი პარკი — გეგმის 101,4 პროცენტი.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება. დაიწყო განმეორებითი კვებისათვის აბრეშუმის თესლის ინკუბაცია. დამთავრდა კონტრაქტაცია.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი **საყვარელიძე**

რაიაღმასკომის თავმჯდომარე **ხიხაძე.**

ემზადებიან თამბაქოს მასობრივი შეტეხისათვის

ლაგოდეხი (საკ. კორ.) ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობები ენერგიულად ემზადებიან თამბაქოს მასობრივი შეტეხისათვის. 30 ივნისისათვის რაიონში შეტეხილი ჰქონდა 253.180 ზონარმეტრი თამბაქო.

თამბაქოს მასობრივი შეტეხა ამ დღეებში დაიწყება.

დ. ბატიაშვილი

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„უფრო ახლოს სკოლებთან და მასწავლებლებთან"

გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის" რედაქციამ განიხილა გაზ. „კომუნისტის" 9 ივნისის ნომერში დაბეჭდილი მიმოხილვა „უფრო ახლოს სკოლებთან და მასწავლებლებთან". რედაქციას სწორად მიაჩნია „კომუნისტის" მიმოხილვაში მოცემული მითითებანი. გაზეთის ყოფილმა რედაქტორმა ამხ. ვ. გოგოლაძემ დროულად არ გადაბეჭდა მიმოხილვა და არ მიიღო ზომები მიმოხილვაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

სათანადო ორგანოებმა, განიხილეს რა საკითხი რედაქციის მუშაობის შესახებ, ამხ. ვ. გოგოლაძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), ამხ. ი. ნატროშვილი (პასუხისმგებელი მდივანი) და ამხ. გ. კუტუბიძე (სასკოლო განყოფილების გამგე), რომლებმაც თავი ვერ გაართვეს მუშაობას, გაანთავისუფლა აღნიშნულ თანამდებობათაგან.

რედაქციამ დასახა ღონისძიებანი გაზ. „საბჭოთა მასწავლებლის" მუშაობაში არსებულ ნაკლთა გამოსასწორებლად.

მ. გურჩულაძე

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე, გაზ. „საბჭოთა მასწავლებლის" რედაქტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელი.

ორდენოსანი მასწავლებლები მოსკოვს მიემგზავრებიან

ვიბრძოლებ კომუნიზმის საქმისათვის

ჩემი შრომა დააფასა ჩვენი სოციალისტური ქვეყნის დიდმა მთავრობამ და დამაჯილდოვა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. ენით გამოუთქმელი სიხარული განვიცადე ამ დიდი დაფასების გამო.

ლენინის ორდენით დაჯილდოებას მე ვუპასუხებ ენერგიული მუშაობით. მოსკოვში წასვლის წინ სიტყვას ვიძლევი — მთელი ჩემი ენერგია მოვახმარო ახალგაზრდა თაობის აღზრდას, ჩემი სიცოცხლე შევწირო კომუნიზმის საქმეს.

გ. ჯალაღანია

ჭიათურის რაიონის სოფ. კაცხ-სალიეთის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ჯილდო მახარებს

ოთხი წელია მას შემდეგ, რაც საბჭოთა მასწავლებლის საპატიო სახელს ვატარებ. ამ ხნის განმავლობაში არ დამიშურებია ჩემი ცოდნა, უნარი და ენერგია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ბედნიერი თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის.

მე სოციალისტური სახელმწიფოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამაჯილდოვა მედლით „შრომითი მამაცობისათვის". მაღალი ჯილდო მავალებს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დაუღალავად ვიმუშაო სტალინური ეპოქის ბედნიერი მოსწავლე თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის.

ჯილდო უდიდეს მოვალეობას მაკისრებს ჩემი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს და ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წინაშე.

უდიდესი ჯილდოსათვის ჩემთან ერთად მადლობას და სიხარულს გამოთქვამენ ჩვენი სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეები და მათი მშობლები.

მ. ლულუნიშვილი

ლაგოდეხის რაიონის ქალქვენამისრალის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.

უსაზღვროდ ბედნიერი ვარ

ხალხთა ბელადმა დიდმა **სტალინმა**, პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ დიდად დააფასეს სახალხო მასწავლებლები და დააჯილდოეს უმაღლესი ჯილდოთი. მე პირადად დაჯილდოებული ვარ ლენინის ორდენით.

მე აღმზარდა კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინურმა კომკავშირმა. უმაღლესი სასწავლებელი საბჭოთა ხელისუფლების დახმარებითა და მზრუნველობით დავამთავრე.

მთელს ჩემს სიცოცხლეს, ენერგიას მოვახმარ ხალხს, ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობას.

აღფრთოვანებული უდიდესი ჯილდოთი — უფრო მეტად გავაღრმავებ ჩემს მუშაობას პედაგოგიურ და საზოგადოებრივ დარგში. მომავალშიც აღვზრდი ჩვენი სამშობლოს და დიდი სტალინის ერთგულ და მამაც პატრიოტებს.

ალ. სამადაშვილი

ლენინგორის რაიონის სოფ. იკოთის საშუალო სკოლის დირექტორი.

მეტი ენერგიით ვიმუშავებ

უსაზღვრო სიხარული გამოიწვია ჩემში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების წაკითხვამ სოფლის სკოლების მოწინავე მასწავლებელთა დაჯილდოების შესახებ.

უსაზღვროა ჩემი სიხარული და აღფრთოვანება.

მაღალი ჯილდო მავალებს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დაუღალავად ვიმუშაო სტალინური ეპოქის ბედნიერი მოსწავლე თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის. გაათკეცებული ენერგიით კიდევ უფრო გავაძლიერებ პედაგოგიურ მუშაობას საბჭოთა სკოლაში.

გ. ცინცაძე

ჩოხატაურის რაიონის დაბლაციხის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

უსაზღვრო სიხარული

სიხარულით ამევსო გული, როცა ჩვენს დიად ქვეყანაში სახალხო მასწავლებელთა მაღალმა სტალინურმა შეფასებამ, მეც, როგორც საბჭოთა ახალგაზრდობის აღმზრდელი, მაღალი ჯილდოს — შრომის წითელი დროშის ორდენის ღირსი გამხადა.

პირობას ვიძლევი კიდევ უფრო ავამაღლო ჩემი პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება, დაუღალავად ვიმუშაო საბჭოთა სკოლაში.

აგნესა კილასონია

ჩოხატაურის რაიონის ჩოხატაურის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ენერგიას მმატებს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული ვარ „საპატიო ნიშნის" ორდენით. ამან უაღრესად დიდი სიხარული და ენერგია შემმატა მომავალი მუშაობისათვის.

მე, როგორც ერთერთი მასწავლებელი, არ დავზოგავ ჩემს ცოდნას და ენერგიას იმისათვის, რომ ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობა აღვზარდო ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენგან ხალხთა ბელადი დიდი **სტალინი.**

ახლა უდიდეს აღფრთოვანებას გამოიწვევს ჩემში წითელი მოსკოვის ნახვა.

მ. გოგეჯიშვილი

ონის რაიონის ღების საშუალო სკოლის დირექტორი.

ნდობას გავამართლებ

მე დაჯილდოებული ვარ მედლით „შრომითი მამაცობისათვის". ეს ჯილდო მავალებს გაასკეცებული ენერგიით განვაგრძო მუშაობა, გავამართლო პარტიის და მთავრობის ნდობა და ნაყოფიერად ვიმუშაო საბჭოთა სკოლაში.

ჩემი ულრმესი მადლობა ლენინ-სტალინის პარტიას და ჩვენს ბელადს დიდ სტალინს.

ტ. იმნაიშვილი

ხაშურის რაიონის სოფ. ტაშისკარის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.

საქართველოს ორდენოსან მასწავლებელთა ერთი ჯგუფი, რომელიც მიემგზავრება ქ. მოსკოვში. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): ზედა რიგში — ლ. ნიჟარაძე, გ. ქეცბაია, მ. ბახუტაშვილი, ტ. ბაზილევიჩი, ი. ბობუა, ე. უშვერიძე, ქვედა რიგში — ზ. ბოლაშვილი, ს. ხარაზია, ა. მარღანია, ლ. ხაზარაძე, ა. მარქაროვი და ვ. ტარბა.

პარტიული ცხოვრება

ერთი კოლმეურნეობის პარტორგანიზაციაში

გალმა-შუამთის კოლმეურნეობასთან („გზა სოციალიზმისაკენ") არსებული პარტორგანიზაცია ერთერთი მოწინავეა ვანის რაიონში. ეს პარტიული ორგანიზაცია, რომელშიაც 26 კომუნისტი ირიცხება, წამყვან ბირთვს წარმოადგენს კოლმეურნეობაში. პარტიის წევრების და კანდიდატების მუშაობა მისაბაძ მაგალითს იძლევა დანარჩენ კოლმეურნეთათვის. განუწყვეტლივ იზრდება და ძლიერდება პარტორგანიზაცია, იზრდება მისი გავლენა და ავტორიტეტი. ამას მოწმობს კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანთა მისწრაფება პარტიისაკენ. განსაკუთრებით საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ გაიზარდა ეს პარტორგანიზაცია საუკეთესო კოლმეურნეთა ხარჯზე. ამ სამი თვის განმავლობაში გალმა-შუამთის საკოლმეურნეო ორგანიზაციას შეემატა პარტწევრობის 9 კანდიდატი, კანდიდატობიდან წევრად მიღებულ იქნა 6 ამხანაგი.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ პირველადი პარტიული ორგანიზაცია შეუდგა თავისი მუშაობის გარდაქმნას ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. პარტორგანიზაციამ ნამდვილად მოჰკიდა ხელი კონტროლის უფლების განხორციელებას და საქმიანად ეხმარება კოლმეურნეობის გამგეობას წამოჭრილი სიძნელეების გადალახვაში. პარტიულ კრებებზე სისტემატურად იხილავენ კოლმეურნეობის სხვადასხვა მტკივნეულ საკითხებს, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს, ხოლო კომუნისტები პირველნი არიან ამ ღონისძიებათა გატარებაში.

მაგალითად, 16 აპრილს პარტიულ კრებაზე მოისმინეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ნ. ძნელაძის მოხსენება საგაზაფხულო თესვის მიმდინარეობაზე. კრებამ აღნიშნა განსაკუთრებით სამარცხვინო ჩამორჩენა არახისის (მიწის თხილის) თესვაში. კომუნისტები კრებაზე ლაპარაკობდნენ აგრეთვე, რომ ტრაქტორების მიერ დატოვებული ხარვეზები ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო მოხნული და კოლმეურნეობაში ადგილი ჰქონდა გამწევი ძალის ნაკლებობას, რადგან მუშა პირუტყვი განსაკუთრებულ კვებაზე არ ჰყავდათ გადაყვანილი. პარტორგანიზაციის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შემდეგ სამარცხვინო ჩამორჩენა გამოსწორებულ იქნა.

კომუნისტი კოლმეურნეები სტახანოვური მუშაობის მაგალითს უჩვენებენ კოლმეურნეებს. ისინი საქმით ახორციელებენ ავანგარდულ როლს. პარტიის წევრს ანდრია გოგაძეს 20 ივნისისათვის 239 შრომადღე ჰქონდა გამომუშავებული, პარტკანდიდატს ივანე მამფორიას — 159 შრომადღე, პარტკანდიდატს იულია გოგაძეს — 171 შრომადღე; ტარასი მამფორია საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგაა მიღებული პარტიის წევრობის კანდიდატად. მას ამჟამად უკვე გამომუშავებული აქვს 310 შრომადღე. პარტბიუროს მდივანი ამხ. ელენე ნაფეტვარიძე საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. იგი დიდ დროს ანდომებს დეპუტატის მოვალეობის ასრულებას; ამომრჩევლებთან საუბრობს, აგვარებს მრავალ საჭიროროტო საკითხს; ამავე დროს იგი კოლმეურნეობაშიაც არ ჩამორჩება. მისი ბრიგადა ერთერთი მოწინავე ბრიგადაა. მათ განსაკუთრებით დიდი გამოცდილება აქვთ რამის ნერგის გამოყვანაში; თვით ელენე ნაფეტვარიძეს 20 ივნისამდე გამომუშავებული აქვს 140 შრომადღე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრკ სახკომსაბჭოს 27 მაისის დადგენილებას „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ" — გაზეთების მიღებისთანავე გაეცნენ კოლმეურნეები. აგიტატორების საშუალებით ეს ისტორიული დადგენილება დაყვანილ იქნა თვითეულ კოლმეურნემდე; ამან უდიდესი აღფრთოვანება და შრომის ახალი აღმავლობა გამოიწვია კოლმეურნეობაში. პარტორგანიზაცია სწავლობს ცალკეული დამახინჯებების შემთხვევებს. 16 ივნისს პარტორგანიზაციის კრებაზე გამომჟღავნდა, რომ ზოგიერთმა კოლმეურნემ თვითნებურად მიითვისა საკოლმეურნეო მიწები და თამბაქო დასთესა. სამწუხაროდ, ასეთებს შორის აღმოჩნდნენ კომუნისტებიც — სანდრო გოგაძე, მ. ნაფეტვარიძე და სხვ. პარტორგანიზაციის კრება მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ კოლმეურნეობის გამგეობას დაავალა ჩამოერთმია მიწის ნაკვეთები ამ კოლმეურნეთათვის. კომუნისტ კოლმეურნეებს კი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საკოლმეურნეო მიწების განიავებაში, პასუხი არ მოსთხოვეს. ეს უთუოდ პარტიული კრებისა და პარტბიუროს მდივნის შეცდომა იყო. ამ შეცდომის გამოსასწორებლად პარტრაიკომის ინსტრუქტორს ამხ. მეფარიშვილს ჯერაც არ მიუღია ზომები.

გალმა-შუამთის საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია შედის პირველ საინსტრუქტორო ზონაში, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. ს. მეფარიშვილი. ამხ. მეფარიშვილი კარგახანია ინსტრუქტორად მუშაობს, მაგრამ თავის სამუშაოს არ არის დაუფლებული. მისი ხელმძღვანელობა პირველადი ორგანიზაციისადმი მხოლოდ იმით ამოიწურება, რომ ერთხელ-ორჯერ კრებას დაესწრება, ოქმებს ზერელედ გადაათვალიერებს და საწევრო ანარიცხებს გასინჯავს. ეს არის და ეს. ასეთი ზერელე ხელმძღვანელობის შედეგია სწორედ ის ამბავი, რომ პარტორგანიზაციას ყოველთვის როდი გამოაქვს სწორი დადგენილება. მაგალითად, გასულ თვეში იხილავდნენ რაიკომის დადგენილებას პრესის დღის ჩატარების შესახებ. პირველადი ორგანიზაციის მიერ მიღებულ ღონისძიებათა მეხუთე მუხლში სწერია: „გამოიყოს კედლის გაზეთის კორესპონდენტები შემდეგი შემადგენლობით.." და ქვევით მოჰყვება 8 ამხანაგის სია. რაიკომის ინსტრუქტორს უნდა განემარტა, რომ კორესპონდენტები არ გამოიყოფიან და არ ინიშნებიან. ისინი უნდა დავაინტერესოთ კედლის გაზეთის მუშაობით და მივიზიდოთ კედლის გაზეთში თანამშრომლობისათვის.

ა. ჭუმბურიძე

მკითხველთა დასახმარებლად

სოციალ-ეკონომიურ ფორმაციათა ძირითადი ტიპები

პირველყოფილ-თემური წყობილება

როგორც წინა სტატიაში ვნახეთ,*) მეცნიერებისათვის საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ კაცობრიობის ისტორია იცნობს წარმოებითი ურთიერთობათა, ანუ მარქსის ტერმინს თუ ვიხმარით, სოციალ-ეკონომიურ ფორმაციათა ხუთ ძირითად ტიპს: პირველყოფილ-თემურს, მონათმფლობელურს, ფეოდალურს, კაპიტალისტურს და კომუნისტურს. ამ დებულების დასაბუთება მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების მონაპოვარს შეადგენს. დავიწყოთ პირველყოფილ-თემური ურთიერთობიდან.

ბურჟუაზიული სოციოლოგია ცდილობს უარჰყოს პირველყოფილ-თემური ფორმაციის არსებობა. იგი ლამობს პირველყოფილი ადამიანი გამოაცხადოს ინდივიდუალურად საზრდოს მძებნელ ცხოველად. გერმანელ ფაშისტთა უბადრუკი კალმოსნები ადამიანს მტაცებელ ცხოველთა შთამომავლად სთვლიან.

პირველად პირველყოფილ-თემური მეურნეობის ფორმები შეისწავლა და აღწერა გამოჩენილმა ამერიკელმა მეცნიერმა მორგანმა. მაგრამ მორგანზე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 1845 წელს თავიანთ „გერმანულ იდეოლოგიაში" მარქსი და ენგელსი აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ კერძო საკუთრების ეპოქის წარმოშობას კაცობრიობის ისტორიაში წინ უსწრებდა არქაული ფორმაცია, რომლის დროს არსებობდა საკუთრების პირვანდელი ფორმა თემური ანუ გვაროვნული საკუთრება.

მარქსისტულ-ლენინური გაგება ისტორიისა ანადგურებს აგრეთვე იმ ყალბ ბურჟუაზიულ შეხედულებას, რომლის თანახმად ისტორიაში ხდება დაუსრულებელი განმეორება ერთხელ უკვე არსებული მოვლენებისა. ისტორიაში არსებობს არა მოვლენების და ფორმების ციკლური განმეორება, არამედ ერთი მთლიანი კანონზომიერი პროცესის განვითარება. ამ თვალსაზრისის თანახმად კაცობრიობის ისტორია თანდათანობითი პროგრესის სარბიელია, ერთი ფორმაცია სცვლის მეორეს, მომდევნო ფორმაცია ყოველთვის უფრო პროგრესიულია, ვიდრე წინამორბედი. ერთი მთლიანი კანონზომიერი პროცესის ბატონობის მიუხედავად, თვითეულ ფორმაციას თავის სპეციფიკური სახე აქვს, მის მსვლელობას სპეციფიკური მოვლენები ახასიათებენ.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში" ზუსტად და ამომწურავად არის დახასიათებული პირველყოფილ-თემური წარმოებითი ურთიერთობის ბუნება:

„პირველყოფილ-თემური წყობილების დროს წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება. ეს ძირითადად შეესაბამება საწარმოო ძალთა ხასიათს ამ პერიოდში. ქვის იარაღები და მშვილდ-ისარი, რომელიც შემდეგ გაჩნდა, გამორიცხავდნენ ბუნების ძალებთან და მტაცებელ ცხოველებთან მარტოხელად ბრძოლის შესაძლებლობას. ტყეში რომ ნაყოფი შეაგროვონ, წყალში რომ თევზი დაიჭირონ, რაიმე საცხოვრებელი ბინა რომ ააშენონ, ადამიანები იძულებული არიან ერთად იმუშაონ, თუ არ სურთ გახდნენ შიმშილით სიკვდილის, მტაცებელ ცხოველთა ან მეზობელ საზოგადოებათა მსხვერპლნი. საერთო შრომა იწვევს წარმოების საშუალებათა, აგრეთვე წარმოების პროდუქტების საერთო საკუთრებას. აქ ჯერ კიდევ წარმოდგენა არა აქვთ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებაზე, თუ არ ვიანგარიშებთ წარმოების იმ ზოგიერთი იარაღის კერძო საკუთრებას, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ მტაცებელი ნადირებისაგან თავდაცვის იარაღებს. აქ არ არის ექსპლოატაცია, არ არიან კლასები".[1]

მაშასადამე, ამ კლასიკური განმარტების თანახმად, ძირითადი დამახასიათებელი თავისებურება პირველყოფილ-თემური ფორმაციისა მდგომარეობს შემდეგში: აქ არ არსებობს კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე, საწარმოო საშუალებანი საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენენ, ადამიანები კოლექტიურად შრომობენ, მათ წარმოდგენა არა აქვთ სხვისი შრომის მითვისებაზე, არ არსებობს ექსპლოატაცია და ამიტომ ნაწარმოები პროდუქტები თანაბრად ნაწილდება.

ფრ. ენგელსმა თავის ცნობილ შრომაში: „ოჯახის, საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა"—სრულქმნილი ანალიზით დაგვისურათა ბუნება პირველყოფილ-თემური საზოგადოებრივი ურთიერთობისა, აგვიხსნა მისი მატერიალური მამოძრავებელი ძალები, განვითარების სტადიები, მისი უმაღლეს სტადიაზე ასვლისა და დაღუპვის მიზეზები.

პირველყოფილ-თემური ფორმაცია ძალიან გრძელი ისტორიული პერიოდი იყო. იგი მრავალ ასიათას წელს გრძელდებოდა. მან განვითარების რამდენიმე სტადია გაიარა. განვითარების პირველ სტადიას ლენინი „პირველყოფილ ჯოგს" უწოდებს. განვითარების ეს საფეხური გაადამიანების საფეხურია. აქ ადამიანი პრიმიტიული ქვის იარაღით ებრძვის ბუნებას; ეს არის ე. წ. პალეოლითის ეპოქა, ე. ი. უძველესი ქვის იარაღის საუკუნე. ოჯახი, როგორც ასეთი, ჯერ არ არსებობს. შრომის იარაღები პრიმიტიულია, შრომის ფორმები განუვითარებელია.

პირველყოფილ ჯოგში საწარმოო ძალების რაიმე თვალსაჩინო განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია. განვითარების ამ დონეზე იარაღი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ქვისა, ხისა და ძვლის კომბინაცია.

შრომის ამოცანები მხოლოდ მთელი ჯოგის უშუალო მონაწილეობით შეიძლებოდა შესრულებულიყო. ამიტომ განვითარების ამ საფეხურზე შრომის პროცესი უაღრესად კოლექტიური იყო. საზოგადო იყო შრომის ნაყოფის განაწილებაც. რასაკვირველია, პირველყოფილ ჯოგში თავდაპირველად არავითარი გაცვლა-გამოცვლა არ არსებობდა, არც შრომის ისეთი განაწილება, რომელიც შემდეგ ოჯახში გვხვდება.

უნდა ვიფიქროთ, რომ პირველყოფილი ჯოგის სტაციონარულ მდგომარეობაში დიდი გარდატეხა მოახდინა ცეცხლის აღმოჩენამ და მასთან დაკავშირებულმა მაგარი ლითონების (ბრინჯაო, შემდეგ რკინა) წარმოების პირველადმა ჩასახვამ. ბრინჯაოს იარაღით შეიარაღებული კაცი, ცხადია უფრო ადვილად და უფრო ჩქარა შეასრულებს იმავე სამუშაოს, ვიდრე ქვის იარაღით შეიარაღებული. ამ საფეხურზე იწყება ჯოგური მდგომარეობის გარდაქმნა და გვარისა და ოჯახის გაჩენა.

თავის შენიშვნებში კოვალევსკის შესახებ კ. მარქსი აღნიშნავს, რომ ჯოგური მდგომარეობიდან მისი თანდათანობითი და სპონტანური რღვევის საშუალებით ვითარდებოდა შემდგომი გვარი და ოჯახი. როგორც ცნობილია, ამ პროცესს თან ახლდა პირველყოფილი საზოგადოების დიდი „იდეოლოგიური" მოძრაობა, სისხლის ნათესაობის დამყარება და უთვისტომო სქესობრივი კავშირის აკრძალვა — ეს უცილობელი თანმხლები ოჯახის ეკონომიური გაფორმებისა. მარქსი გვასწავლის, რომ პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოება არის არქაული ფორმაციის უკანასკნელი ეტაპი, ანუ უკანასკნელი პერიოდი.

უნდა ვიფიქროთ, რომ პირველყოფილ-თემურ ურთიერთობას ჯოგური მდგომარეობიდან გამოსვლისას ჯერ მატრიარქატის სახე ჰქონდა. მატრიარქატის დროს ყოველივე ორგანიზაცია და ავტორიტეტი გვარიდან გვარზე გადადის და ყოველნაირ სოციალურ დამოკიდებულებათა რეგულირება გვაროვნული ხასიათისაა. ხოლო არქაული ფორმაციის უკანასკნელ ეტაპზე მატრიარქატს სცვლის პატრიარქატი. პატრიარქატის დროს ჩამოყალიბებულ ოჯახს ვნახულობთ და საზოგადოებრივი ავტორიტეტი უკვე მამიდან შვილზე გადადის ერთგვარი უფლების სახით.

ცნობილია აგრეთვე, რომ განვითარების პატრიარქალური ეპოქა ძალიან ხანგრძლივი პერიოდი იყო. აქ ქვის მაღალი ტექნიკის გვერდით (ე. წ. ნეოლითის ხანა) უკვე ცეცხლისა და ლითონის გამოყენებას ვნახულობთ. მეჯოგეობა და მემინდვრეობა იწყებს განვითარებას და პირველყოფილ საზოგადოებაში განვითარების დიდი ძვრები იწყება. ჩნდება მომთაბარე მეჯოგეობა და მემინდვრეობა. განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ხდება შეუღლება მეჯოგისა და მემინდვრის შრომისა. მეჯოგეობა მემინდვრეობას აძლევს გამწევ ძალას. ის, რაც ადამიანებს წინა საფეხურზე დიდი კოლექტივის საშუალებით უნდა გაეკეთებინა, ახლა საქონლის გამწევი ძალის გამოყენების გამო გაცილებით უფრო ადვილად შესასრულებელი ხდება; მემინდვრეობა კი მეჯოგეობას აძლევს ხელოვნურად მოპოვებულ საზრდოს და, მაშასადამე, აფართოვებს მისი განვითარების პერსპექტივებს.

ცხოვრების ეკონომიური პირობების ამგვარი გართულება მოითხოვს იარაღის წარმოშობის გაუმჯობესებას. ქვის დანა და სადგისი შედარებით უფრო ადვილი გასაკეთებელი იყო, მაგრამ ადვილადაც იმტვრეოდა მოხმარების დროს. ბრინჯაოს და რკინის დანა გაცილებით უფრო ძნელი გასაკეთებელია, მაგრამ იგი გაცილებით უფრო სტაბილური და მოხერხებული იარაღია. ამის გამო პირველყოფილ საზოგადოებაში შრომის საზოგადოებრივი განაწილება იმ დონემდე აღწევს, რომ ჩნდებიან განსაკუთრებული პირები, რომლებიც სპეციალურად შრომის იარაღებს ამზადებენ. ჭურჭლისა და ტანისამოსის მომზადებაც ხელს უწყობს ამ სოციალურ დიფერენციაციას და პირველყოფილ ოჯახში ეს ხშირად შრომის განაწილების ე. წ. ასაკობრივ ფორმას იწვევს. წინა საფეხურზე არსებული „ჯგუფური ქორწინება" ახლა განვითარების ხელისშემშლელ გარემობად იქცევა — იწყება ბრძოლა ჯგუფური ქორწინების წინააღმდეგ და ყალიბდება საგვარეულო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ეკონომიური ორგანიზაცია, ოჯახი.[2]

განვითარების ამ სტადიაზეც ადამიანი კოლექტივისტია. სხვისი შრომის მითვისება მან ჯერ კიდევ არ იცის, ექსპლოატაცია არ არსებობს. მაშასადამე, არ არსებობს არც კლასები და არც სახელმწიფო. თავის ცნობილ ლექციაში „სახელმწიფოს შესახებ" ლენინი გვასწავლის:

„...იყო დრო, როცა სახელმწიფო არ არსებობდა, როცა საერთო კავშირი, თვით საზოგადოება, დისციპლინა და შრომის განწესრიგება ემყარებოდა ჩვეულებებს, ტრადიციებს, ავტორიტეტს ან პატივისცემას, რითაც სარგებლობდენ გვარის უხუცესნი ან ქალები, რომელთაც იმ დროს არა თუ მამაკაცების თანაბარი უფლებები ჰქონდათ, არამედ ხშირად უფრო მაღალი მდგომარეობაც ეჭირათ; მაშინ არ არსებობდა ადამიანთა განსაკუთრებული კატეგორია—სპეციალისტები მართველობისათვის".[3]

მაგრამ რამდენადაც დაწყებითი განვითარება წინ მიდიოდა, რამდენადაც შრომის იარაღი უმჯობესდებოდა, იმდენად შრომის საზოგადოებრივი განაწილება უფრო მრავალმხრივი ხდებოდა. განვითარება ნელნელა ისეთს საფეხურს უახლოვდებოდა, რომ შრომის გაუმჯობესებული იარაღით (თუ თავდაცვის იარაღით) შეიარაღებულ ერთ ადამიანს შეეძლო იმავე პროცესის შესრულება, რომელსაც წინათ მთელი ჯგუფი ასრულებდა. განვითარების ამ საფეხურზე საწარმოო ძალების განვითარებისათვის ბორკილად გადაიქცა წინა საფეხურზე დამკვიდრებული თემურ-კოლექტიური წარმოებითი ურთიერთობა.

ახლა პროგრესი შეიძლება გამოეწვია საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრებად გადაქცევას. ამან გამოიწვია კონფლიქტი შრომის ახალ ფორმას და საკუთრების გვაროვნულ საზოგადო ფორმას შორის. იარაღის გაუმჯობესებამ შრომის პროდუქტიულობა გაზარდა. კოლექტიური შრომის გვერდით ინდივიდუალური შრომა გაჩნდა. ინდივიდუალურმა შრომამ მოცემულ დროში მეტი ნაყოფი შექმნა, ვიდრე ინდივიდუუმმა დახარჯა, ე. ი. გაჩნდა ნამატი შრომა. ნამატმა შრომამ კი ხელი შეუწყო დაგროვების ზრდას. ახლა ეს დაგროვება კერძო საკუთრების ფორმას ღებულობს, ჯერ იგი ვრცელდება მხოლოდ ე.-წ. მოძრავ სიმდიდრეზე, შრომის იარაღებზე, ჯოგზე და სხვ. იწყება გვაროვნული ორგანიზაციის შინაგანი დიფერენცირებისა და დაშლის პროცესი.

განვითარების ამ საფეხურზე ადამიანები ადვილად აღმოაჩენენ, რომ საჭირო აღარ არის ომების დროს წამოყვანილი სამხედრო ტყვეების დახოცვა, ან მათი შეჭმა, როგორც ამას აქამდე სჩადიოდნენ, არამედ ეს სამხედრო ტყვე შეიძლება მეურნეობისათვის იქნას გამოყენებული. ეს მონები სწორედ ბევრს შრომობდნენ და ნაკლებს სჭამდნენ, ე. ი. მათი ნამატი შრომა ნამატ პროდუქტს იძლეოდა.

თავდაპირველად ასეთი მონები ხშირად მთელი გვარის საკუთრებას შეადგენდნენ, ან ესა თუ ის ოჯახი ასეთს ადამიანებს „იშვილებდა" (ე.-წ. ოჯახური მონობა). მაგრამ კერძო საკუთრების ჩასახვა და გაცვლა-გამოცვლის ფორმების გართულება ამ „ნაშვილებ" უცხო ტომის კაცს ნამდვილ მონად აქცევს და ასეთი მონები უკვე გამდიდრებული კერძო მესაკუთრეების უხმო მორჩილებაში ვარდებიან. იწყება ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის უსასტიკესი ექსპლოატაციის ეპოქა. რამდენადაც ეს მონობა ე.-წ. პატრიარქალური მონობის სახით ჯერ კიდევ თემურ ორგანიზაციაში ჩაისახა, იმდენად თემური ორგანიზაცია შიგნიდან დაშლას იწყებს და ანტაგონისტური სოციალური ორგანიზაციის ფორმას იღებს. იწყება მონობა, როგორც ახალი საზოგადოებრივი ინსტიტუტი და იგი დასაბამს აძლევს ახალს საზოგადოებრივ ურთიერთობას მონათმფლობელობას.

მონათმფლობელობა კლასობრივი საზოგადოების პირვანდელ ფორმას წარმოადგენს. „მონათმფლობელნი და მონები—ეს არის საზოგადოების პირველი დიდი დანაწილება კლასებად"[4]—გვასწავლის ლენინი.

პროფ. მოსე გოგიბერიძე

*) იხ. გაზ. „კომუნისტი" № 94, 1939 წ. 24 აპრილი.

1) საკ. კომ. პარტ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი. გვ. 151.

2) ფრ. ენგელსი: „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა", გვ. 43, 44 და სხვ.

3) ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. VI, გვ. 330.

4) ლენინი. რჩეული ნაწერები, ტ. VI, გვ. 330.

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ საკარმიდამო მიწების აზომვას

მოწინავე კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები

თბილისის რაიონის ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა ერთერთი მოწინავეა რესპუბლიკაში — ის დამტკიცებულია საკ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატად.

რით არის ეს კოლმეურნეობა შესანიშნავი, რა წარმატებებს მიაღწია მან თავისი არსებობის განმავლობაში? ნაცვლად 1930 წლის 36 კომლისა კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 300-მდე კომლი. თუ წინათ კოლმეურნეობას მხოლოდ 2 უღელი ხარი, 160 ცხვარი და 3 ძროხა ჰყავდა, ახლა კოლმეურნეობის ცოცხალი გამწევი ძალა შეადგენს 80 სულს, ცხვარი 4.000 სულს აღწევს, მსხვილფეხა პირუტყვი—620-ს (მათ შორის 120 სული ჯიშიანი მეწველი ძროხა), ღორები 100-ზე მეტი, ფუტკარი—90 სკა, ბოსტანი, ბაღი და ვენახი 40 ჰექტარი, მარცვლეული და ნათესი ბალახები თითქმის 1.000 ჰექტარამდე და სხვ.

ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა საკავშირო სას.-სამ. გამოფენაზე მიდის მეხილეობის, მევენახეობისა და აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავლით, აგრეთვე მესაქონლეობის ფერმაში მაღალი წველადობით. მაგალითად, 1937 წელს საშუალოდ თითეულ ძროხაზე მიიღეს 1.500 ლიტრი რძე, შარშან კი — 1.630 ლიტრი, ხოლო ზოგიერთმა ძროხამ 3.000 ლიტრზე მეტი მოიწველა. კიდევ უფრო გაადიდა კოლმეურნეობამ პამიდორის მოსავალიც — ნაცვლად 8 ტონისა ჰექტარზე 25 ტონა მიიღო.

ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობას მისი დაარსებიდან (1930 წ.) დღემდე თავმჯდომარეობს ავჭალის წყალსადენის ყოფილი მუშა, პარტიის წევრი ამხ. თ. ვარდანაშვილი. აგროწესების შესწავლა-გატარებაში განსაკუთრებული ინტერესი და დაკვირვება, დიდი ორგანიზატორული ნიჭი, საერთო საქმის სიყვარული და მონდომება—აი მოკლედ ის ღირსებები, რომელმაც ამხ. ვარდანაშვილს მოუპოვა კოლმეურნეთა მასის საერთო ნდობა და დაფასება.

ამხ. ტ. დოდელია ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრია მისი დაარსებიდანვე, 1937 წლიდან კი ამავე კოლმეურნეობის ფერმის გამგე. თავის მოვალეობას ამხ. დოდელია ყოველთვის საუკეთესოდ ასრულებს, არის ყველა საქმეში მოწინავე და მაგალითის მაჩვენებელი. ამხ. დოდელია ამჟამად პარტიის წევრია და დამტკიცებულია საკავშირო სას.-სამ გამოფენის კანდიდატად. ამხ. დოდელიას შარშან კოლმეურნეობაში გამომუშავებული აქვს 500-მდე შრომადღე.

კოლმეურნეობის ფერმის მუშაობის კარგად დაყენებაში მეტად თვალსაჩინო მუშაობას აწარმოებს ვეტფერშალი, იგივე ბრიგადირი ამხ. ს. ნიკოლაიშვილი, რომელიც 6 წელია ამ თანამდებობაზე მუშაობს. საუკეთესოდ უვლის პირუტყვს და ყოველწლიურად ახალ წარმატებებს აღწევს. მაგალითად, შარშან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ტონა და 300 კილოგრამი რძისა, სახელმწიფოს ჩააბარა 21 ტონა და 500 კილოგრამი რძე, წელს კი უნდა ჩააბარებინა 37 ტონა რძე, რაც შესრულებული იქნება მიმდინარე თვის შუა რიცხვებში. (გარდა ამისა, კოლმეურნეობა ყოველდღიურად ჰყიდის 600 მანეთის რძეს). ამხ. ნიკოლაიშვილის ენერგიული მუშაობით აქ ძროხები ისე კარგად არის მოვლილი, რომ თვითეული ახლად მოგებული ხბო 45 კილოგრამამდე იწონის. ხბოები მთლიანად შენარჩუნებულია.

ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ასევე მოწინავეა მემინდვრეობის ბრიგადირი ამხ. გ. ლომიშვილი, მეცხვარეობის ბრიგადირი ამხ. ვ. ფილბური, რომელმაც 800 დედა-ცხვარზე მიიღო 800 ბატკანი და ყველა შეინარჩუნა, შეასრულა ყველისა და მატყლის დამზადების გეგმა და შარშან კოლმეურნეობაში გამოიმუშავა 500-მდე შრომადღე.

გარდა დასახელებული მუშაკებისა, ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ბევრია მოწინავე და საერთო საქმის ენტუზიასტი, მაღალი მოსავლის ოსტატი, სულ კი 400-მდე მუშახელიდან 85 სტახანოველია, ხოლო დამკვრელი — კიდევ უფრო მეტი. სტახანოველი ქალებიდან შეიძლება დავასახელოდ ამხანაგები: კატუშა თედიაშვილი (აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა როგორც შარშან, ისე წელსაც ორმაგად შეასრულა), მარო მათიაშვილი და თამარ აფციაური, რომლებიც დღეში ნაცვლად 65 კილოგრამისა, თვითეული 85-90 კილოგრამ რძეს სწველის.

ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა ჩაბმულია სოციალისტურ სოცშეჯიბრებაში გლდანის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობასთან.

კოლმეურნეობა წარმატებით იბრძვის საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიმდინარე წლის 27 მაისის დადგენილებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად გატარებისათვის, შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, კოლმეურნეთა საზოგადოებრივი მიწების დაცვის უზრუნველსაყოფად.

ტრ. თოდრაძე

ბლანკები დაგვიანებით მიიღეს

სოხუმი (საკ. კორ.). კოლმეურნეთა, აგრეთვე ერთპიროვნულ მეურნეთა და კოლმეურნეობების სხვა არაწევრთა საკარმიდამო მიწების აზომვა აფხაზეთში ორგანიზებულად მიმდინარეობს. აზომვის კომისიებში მონაწილეობას იღებენ სოციალისტური სოფლის მოწინავე ადამიანები, უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სტახანოველები.

მიუხედავად ამისა, აზომვის პირველ დღეს თან ახლდა დეფექტები. ოჩამჩირის რაიონში ბევრმა კომისიამ აქტების ბლანკები 30 ივნისს ღამით მიიღო, რამაც ტამიშის, კინდღის, მოქვისა და ფოკვეშის სასოფლო საბჭოებში პირველ ივლისს 6 საათით დააგვიანა აზომვის დაწყება.

სოხუმის რაიონის სოფელ აჟარასა და ფსხუში პირველ ივლისს კომისიები სრულებით არ შესდგომიან მუშაობას, რაც ბლანკების მიღების დაგვიანებამ გამოიწვია. მიწების აზომვა აჟარასა და ფსხუში მხოლოდ 2 ივლისს დაიწყო.

გ. მერკვილაძე

აი ისინი, რომლებიც სუსტად მუშაობენ

ქუთაისი (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეები ენერგიულ დახმარებას უწევენ მიწის აზომვავ კომისიებს დაკისრებული მოვალეობის წესიერად შესრულებაში.

სოფ. ცხუნკურში კომისიამ აღმოაჩინა რამდენიმე ჰექტარი ზედმეტი საკარმიდამო მიწა, მოსახლეობიდან 5-6 კილომეტრის დაშორებით. აზომვის პირველმა დღემ გვიჩვენა საგრძნობი წარმატებები მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში. მაგალითად, სოფ. მაღლაკში კომისიამ (თავმჯდომარე—ამხ. ჰ. თევდორაძე) პირველ დღეს აზომა 14 კომლის საკარმიდამო მიწა 35 ნაკვეთზე. სოფ. ნამახვანში (კომისიის თავმჯდომარე—ასათიანი)—16 კომლის საკარმიდამო მიწა 33 ნაკვეთზე, წყალტუბოში—18 კომლის საკარმიდამო მიწა.

პირველი დღის მუშაობის შედეგებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს გამომჟღავნებული ნაკლოვანებები. ზოგი კომისია ვერ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, რასაც მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ სოფ. ტყაჩირსა და ქვიტირში მომუშავე კომისიებმა აზომილი მიწების შესაჯამებლად მოითხოვეს გამოცდილი მოანგარიშეები.

სოფ. სიმონეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლოკლიკაძე სრულიად არ იღებს მონაწილეობას აზომვავი კომისიის მუშაობაში. სოფ. კვახჭირში კომისია (თავმჯდომარე—ბ. თორთლაძე) ვერ ახერხებს აზომილი მიწების აქტებში სწორად ჩაწერას.

ივ. გვასალია

მოწინავე კომისიები

(აბაშა, ტელეფონით საკ. კორესპონდენტისაგან)

აბაშის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დროულად დაიწყეს მუშაობა პარტიისა და მთავრობის 27 მაისის დადგენილების ცხოვრებაში ურყევად გატარებისათვის, მომზადდა 36 მიწისმზომელი. გამოიყო 15 კომისია. კომისიის თავმჯდომარეებად დამტკიცებული არიან პარტრაიკომისა და რაიაღმასკომის პლენუმის წევრები.

ჩატარდა კომისიების სამდღიანი საინსტრუქტაჟო თათბირი, კომისიები უზრუნველყოფილი არიან ყველა საჭირო ხელსაწყოთი.

პირველ ივლისს მიწის აზომვა ყველგან დაიწყო. აზომვის პირველი დღის შედეგები კარგია. საუკეთესოდ მუშაობენ ნორიოს (თავმჯდომარე — შ. ქიქეიშვილი), გეზათის (თავმჯდომარე — ი. შუბლაძე) და სუჯუნის (თავმჯდომარე —კ. ჯოჯუა) სასოფლო საბჭოს კომისიები.

საკარმიდამო ნაკვეთების აზომვა ყველგან წარმატებით მიმდინარეობს.

შ. ჟანტურია

ავჭალის (თბილისის რაიონი) ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატი ამხ. თ. ვარდანაშვილი კოლმეურნეობის ხეხილის ბაღში. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ამჟღავნებენ არტელის წესდების დამახინჯებებს

ამბროლაურის რაიონის სოფ. ქვემო-ღვარდიის კოლმეურნეობის წევრი ალფესი მოწონელიძე ფორმალურად გამოეყო თავის ოჯახს და ამ გზით კოლმეურნეობის საერთო ფართობიდან 1.834 კვადრატული საჟენი მიწა მიისაკუთრა.

მსგავსი მაგალითებია სოფ. ქვემოთლუღის, ქვემო-ზნაკვისა და ძირაგეულის კოლმეურნეობებშიც. სოფ. ქვემო - ზნაკვის კოლმეურნეობის წევრ იასონ კიკვიძეს აღმოაჩნდა ნორმაზე ზევით 131 კვადრატული საჟენი მიწა, ვასილ კიკვიძეს—100 კვადრატული საჟენი.

სოფ. ძირაგეულის კოლმეურნეობაში ე. ჭელიძემ თვითნებურად მიითვისა კოლმეურნეობის ფართობიდან 143 კვადრატული საჟენი მიწა. კოლმეურნეები თენგიზ გიორგობიანი და ამბაკო არჩვაძე კოლმეურნეობაში მუშაობას გაურბიან.

კოლმეურნენი, ამჟღავნებენ რა ამ დამახინჯებებს, მოითხოვენ მათ სასწრაფოდ გამოსწორებას.

ვ. სუთიძე

ერთპიროვნულ მეურნეთა სწრაფვა კოლმეურნეობებისაკენ

ტყიბული, 3 ივლისი („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან) 1 ივლისს 7 საათიდან რაიონის 13 კოლმეურნეობაში რაიაღმასკომის კომისიებმა დაიწყეს კოლმეურნეთა, აგრეთვე ინდივიდუალურ მეურნეთა და კოლმეურნეობის სხვა არაწევრთა საკარმიდამო მიწების აზომვა. კომისიები უზრუნველყოფილი არიან სათანადო ხელსაწყოებით, მათ ეხმარებიან სპეციალურად გამოყოფილი მოწინავე კოლმეურნეები.

სოფ. კურსების ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში კომისიამ 1 ივლისს 9 კოლმეურნეს აუზომა საკარმიდამო მიწა.

პარტიისა და მთავრობის 27 მაისის დადგენილების შემდეგ გაიზარდა ერთპიროვნული მეურნეების სწრაფვა კოლმეურნეობებისაკენ. აზომვის პირველი დღისათვის სოფ. კურსების ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ათმა ერთპიროვნულმა მეურნემ განცხადება შეიტანა კოლმეურნეობაში წევრად მიღების შესახებ.

სოფ. საწირის კოლმეურნეობა „გლეხის იმედში" 1 ივლისს წევრად მიიღეს ერთპიროვნული მეურნეები კ. ცირეკიძე, ლ. კუბლაშვილი, ალ. ბოჭორიშვილი, ს. ცირეკიძე და სხვ.

სოფ. კურსების ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ყოფილი სიმულანტები: პავლე ნიკიტიშვილი, სერგო გიორგაძე, სერგო ქელბაქიანი, დავით ნიკიტიშვილი და სხვები — 60 კაცამდე, რომელთაც არცერთი დღე არ ჰქონდათ გამომუშავებული, დადგენილების შემდეგ ყოველდღიურად გამოდიან სამუშაოზე და გულმოდგინედ მუშაობენ სტახანოველ კოლმეურნეთა გვერდით.

საკარმიდამო ნაკვეთების აზომვასთან დაკავშირებით რაიონის 36 კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა ჩაის კრეფის ივნისის გეგმა.

დ. საბელაშვილი

„ჯავშნოსანი პოტიომკინი"

10 ივლისს ოპერა „დაისით" იხურება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის 1938-39 წლის სეზონი. სეზონის დახურვამდე თეატრი გვიჩვენებს კიდევ ერთ ახალ დადგმას—საბჭოთა კომპოზიტორ ოლეს ჩიშკოს ოპერა „ჯავშნოსან პოტიომკინს". პრემიერა შედგა 5 და 6 ივლისს. ოპერას სდგამს რეჟისორი გ. ჟურული, მხატვრული გაფორმება პროფ. ი. შარლემანისა, დირიჟორი — შ. აზმაიფარაშვილი.

O

„ჯავშნოსან პოტიომკინის" ლიბრეტოს საფუძვლად უდევს ისტორიული ფაქტი: შავი ზღვის ფლოტის ჯავშნოსან „კნიაზ პოტიომკინ-ტავრიჩესკის" მეზღვაურთა აჯანყება მეფის მთავრობის წინააღმდეგ 1905 წლის ივნისში. ლიბრეტოში გამოყენებულია ნამდვილი ამბები. ამბების განვითარება კი ასეთი იყო:

ჯავშნოსან „პოტიომკინის" მეზღვაურთა უკმაყოფილებასა და მღელვარებას ხელი შეუწყო რუსეთის ფლოტის დამარცხებამ იაპონიასთან ომში და მუშების რევოლუციურმა მოძრაობამ. მეზღვაურებში თანდათან მტკიცდებოდა შეიარაღებული აჯანყების იდეა. ჯავშნოსანზე გამოსვლის გარეგნული საბაბი გახდა მეზღვაურთა მიერ უარის თქმა დამპალი ხორცის მიღებაზე. გემის სარდლობამ ჯავშნოსანის უფროსის გოლიკოვის და ოფიცერ გილიაროვსკის მეთაურობით ბრძანება გასცა, რომ მეზღვაურთა საჭმელი დაემზადებინათ ჭიებიანი ხორციდან: „მეზღვაურები ყველაფერს მოინელებენო". მეზღვაურებმა ერთსულოვანი უარით უპასუხეს. მაშინ გილიაროვსკიმ უბრძანა ყარაულს ესროლათ ურჩთათვის. მათ ვერც კი მოასწრეს იარაღის მომარჯვება, რომ წინ წამოდგა მატროსი გრიგოლ ვაკულინჩუკი და ყარაულს მიაძახა: „არ ესროლოთ—ეს თქვენი ძმებია! არ ესროლოთ"! გამხეცებულმა გილიაროვსკიმ ხელიდან გამოსტაცა ერთერთ მეზღვაურს თოფი და იქვე მოკლა ვაკულინჩუკი. ამავე დროს მატროსთა ჯგუფმა ათინასე მატუშენკოს მეთაურობით იარაღს მიმართა. ბრძოლამ ერთბაშად მოიცვა მეზღვაურთა მთელი მასა. ოფიცრები ნაწილობრივ დახოცეს, ნაწილობრივ ნაპირზე გადასვეს.

1905 წლის 14 ივნისს საღამოს ჯავშნოსანი წითელი დროშით ოდესას მიადგა. იქ იმ დროს მუშათა მღელვარება იყო. 15 ივნისს მოკლული ვაკულინჩუკი ნაპირზე გადაასვენეს. ცხედრის გარშემო განუწყვეტელი მიტინგები იმართებოდა, დაკრძალვა კი გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა.

17 ივნისს „პოტიომკინის" მეზღვაურთა აჯანყების ჩასაქრობად ოდესას მიადგა მთელი ესკადრა. რევოლუციური ჯავშნოსანი პირისპირ შეხვდა ესკადრას, დაუმიზნა მას თავისი ქვემეხები და შიგ შუაგულ მწყობრში შეიჭრა. ესკადრის მეზღვაურებმა უარი განაცხადეს პოტიომკინელებთან ბრძოლაზე და მისალმენ რევოლუციურ გემს. ესკადრის ერთერთი ჯავშნოსანი „გეორგი პობედონოსეცი" აჯანყებულებს შეუერთდა.

„პოტიომკინი" კვლავ ოდესისკენ გამობრუნდა. მალე „პობედონოსეცმა" უღალატა აჯანყებულებს, რამაც იმოქმედა მათ განწყობილებაზე. ამას დაერთო სხვა სიძნელენიც, „პოტიომკინს" აღარ ჰქონდა ბრძოლის გაგრძელება და რომ მეფის ჯალათებს არ ჩავარდნოდა ხელში, რუმინეთის ნაპირებისაკენ წავიდა. რუმინეთის მთავრობამ მოითხოვა იარაღის დაყრა და გემის ჩაბარება. პოტიომკინელებმა უარით უპასუხეს და ფეოდოსიისაკენ გამოსწიეს, მაგრამ აქ ვერ მიიღეს ნახშირი და კვლავ რუმინეთისაკენ გასწიეს, სადაც ჩაბარდნენ ხელისუფლებას კონსტანცაში.

შემდეგში ეკიპაჟის ნაწილი რუსეთს დაბრუნდა, სადაც ის გაასამართლეს და ზოგს სიკვდილით დასაჯეს, ზოგსაც სამუდამო კატორღაში უკრეს თავი. აჯანყების მეთაური მატუშენკო რუმინეთიდან ამერიკაში გაიპარა, იქიდან კიდევ სხვა ქვეყანაში, ბოლოს არალეგალურად ჩამოვიდა რუსეთში, მაგრამ 1907 წელს ქ. ნიკოლაევში შეიპყრეს და ჩამოახრჩეს.

თუმცა ტრაგიკულად დამთავრდა პოტიომკინის ეპოპეა, მაგრამ მან უდიდესი როლი ითამაშა რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში. აჯანყება ჯავშნოსანზე, როგორც ლენინი ამბობდა, „უდავო და უაღრესად საყურადღებო ცდა იყო. ეს იყო რევოლუციური არმიის ბირთვის შექმნის ცდა". რევოლუციის მხარეზე გადავიდა მთელი მცურავი ციხე-სიმაგრე. და „ჯავშნოსანი პოტიომკინი" რევოლუციის დაუმარცხებელ ტერიტორიად დარჩა..." (ლენინი).

ო. ჩიშკოს ოპერა ამ ამბების მუსიკალურ-დრამატურგიული ხორცშესხმის ცდას წარმოადგენს. ოპერაში მთავარი როლი დათმობილი აქვს მასას. ოპერის ცენტრალური ეპიზოდია—აჯანყების სცენა, შემდეგ—ვაკულინჩუკის ცხედრის გადასვენება ნაპირზე, მუშებისა და მეზღვაურების ფიცი—შური იძიონ ამხანაგისათვის.

ოპერაში პოტიომკინის ეპოპეა სწყდება იმ ადგილას, როცა აჯანყებული ჯავშნოსანი ესკადრის შესახვედრად გამართება: პოტიომკინელებმა გადასწყვიტეს მოკვდნენ, მაგრამ არ დანებდნენ. მძლავრად ჰქუხს რევოლუციურ მეზღვაურთა სიმღერა:

«Не сдадим свободы знамя!
В бой! Свободу береги!..»

გამოჩნდება ესკადრის პირველი გემი „როსტისლავი". დამსჯელი ჯავშნოსანის მეზღვაურები აიტაცებენ პოტიომკინელთა სიმღერას და დიდხანს გრგვინავს მათი აღფრთოვანებული შეძახილი:

«Как бы тучи не грозили,
Воли враг не отберет.
Нет предела нашей силе.
Эй! Потемкинцы, вперед!»

ოპერა „ჯავშნოსან პოტიომკინის" ლიბრეტოს პირვანდელი გეგმა თვით კომპოზიტორს ეკუთვნის, შემდეგში ლიბრეტო დასწერა პოეტმა ს. დ. სპასსკიმ. ოპერაში ზუსტად დამუშავებულია მთელი რიგი დეტალები მათი მოქმედების ადგილისა და ისტორიული სიმართლისათვის შეფარდების თვალსაზრისით. ამთავრებენ რა ოპერას პოტიომკინის ეპოპეის კულმინაციური წერტილით — ჯავშნოსანის გალაშქრებით ესკადრის წინააღმდეგ, — ამით ავტორები ხაზს უსვამენ, რომ პოტიომკინელთა საქმე არ დამთავრებულა 1905 წელში, რომ „ჯავშნოსანი „პოტიომკინი" რევოლუციის დაუმარცხებელ ტერიტორიად დარჩა".

ოპერის მუსიკალურ ენას ახასიათებს დიდი დრამატიული პათოსი, მკაცრი ეპიკურ-თხრობითი სტილი, მძლავრი საგუნდო ანსამბლები, მუსიკალური მასალის უბრალოება, ზოგჯერ უშუალოდ მიმართვა ხალხური შემოქმედებისადმი. ამავე დროს ჩიშკოს ოპერაში ბევრია ლირიკაც. ამ მხრივ საყურადღებოა მეზღვაურ კაჩურას და მატუშენკოს არიები, ვაკულინჩუკის და გრუნიას დუეტი.

ჩიშკოს მუსიკა დაწერილია რუსული და უკრაინული ხალხური სიმღერის დიდი ზეგავლენით. უკრაინული სიმღერის ინტონაციების დაღი აზის ოპერის თითქმის ყველა ცენტრალურ ვოკალურ ადგილს („ნანა" გრუნიასა და ვაკულინჩუკის დუეტში, მატუშენკოს სიმღერა ქარზე, კაჩურას სიმღერები შევარდენზე და არყის ხეზე, მეზღვაურთა გუნდის მთელი რიგი სიმღერები). ხალხურ სასიმღერო ფოლკლორთან სიახლოვე ღირსებას ჰმატებს ო. ჩიშკოს ნაწარმოებს.

„ჯავშნოსან პოტიომკინს" აქვს თავისი ნაკლიც, მაგრამ მათ არ შეუძლიანთ დაჩრდილონ ამ გმირული ოპერის უდავო ღირსებანი. ეს ღირსება კი ის არის, რომ ოპერა სწორად და დამაჯერებლად გვიჩვენებს ღრმა სოციალურ დრამას, რევოლუციური წარსულის ერთერთ უაღრესად გმირულ ეპიზოდს. ამდენად ამ ოპერის დადგმა დიდი მოვლენაა ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში.

O

„ჯავშნოსან პოტიომკინში" მთავარ როლებს ასრულებენ თბილისის საოპერო თეატრის საუკეთესო ძალები. ვაკულინჩუკის პარტიას მღერიან გ. გრიგორაშვილი და ვ. შარაშიძე, მატუშენკოსას — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები დ. ანდღულაძე და ნ. ქუმსიაშვილი, კაჩურასას—ვოკალისტთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი დ. გამრეკელი და გ. მარგიევი, გრუნიასას—ნ. ცომაია, ტ. შარატ-დოლიძე და ო. ჩხაიძე, გოლიკოვისას — ვ. ხამაშურიძე და ვ. შაპოშნიკოვი.

შ. ბუაჩიძე.
თბილისის საოპერო თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე.

მარია კიური

გარდაცვალებიდან 5 წლის შესრულების გამო

1934 — 4/VII — 1939

5 წლის წინ—1934 წ. 4 ივლისს გარდაიცვალა ჩვენი დროის ერთერთი უდიდესი მეცნიერი მარია კიური-სკლოდოვსკაია, რომლის შრომებმა ესოდენ გაადიდრა ჩვენი ცოდნა მატერიის შესახებ.

მარია კიური-სკლოდოვსკაია დაიბადა 1867 წ. ვარშავაში, სადაც დაამთავრა გიმნაზია. ხელმოკლეობამ 17 წლის მარია აიძულა გუვერნანტად დაეწყო მუშაობა, თავისუფალ დროს კი ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიაში მეცადინეობდა. როცა ცოტაოდენი თანხა დააგროვა, სწავლის განსაგრძობად პარიზს გაემგზავრა. აქ ის პროფესორ ლიპმანის ლაბორატორიაში მოეწყო. მცირე ხელფასი საკმაო იყო მხოლოდ იმისათვის, რომ სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდა ქალს პურით და წყლით ეკვება თავი და პარიზის ერთერთ მიყრუებულ უბანში, სადაც მეოთხე სართულზე ბნელი კუნჭული დაექირავებინა. ლიპმანმა მალე შენიშნა თავისი ახალი თანამშრომლის განსაკუთრებული ნიჭი და სამუშაოდ მოაწყო თავის ერთერთ დიდმომავლიან მოწაფესთან — პიერ კიურისთან.

1895 წელს მარია ცოლად გაჰყვა პიერ კიურის.

ეს წელიწადი ღირსშესანიშნავი იყო არა მარტო პიერ და მარია კიურის ცხოვრებაში. იგი ამავე დროს უდიდეს თარიღს წარმოადგენს მეცნიერებისთვისაც. ამ წელს ვილჰელმ რენტგენმა აღმოაჩინა ე. წ. იქს-სხივები, რომელსაც მის პატივსაცემად შემდეგში რენტგენის სხივები უწოდეს. 1896 წ. ბეკერელმა აღმოაჩინა რადიაქტივობის მოვლენა. ამ ორ აღმოჩენას მოსდევს მთელი ჯაჭვი ბრწყინვალე აღმოჩენებისა, რომლებმაც (კრუქსისა და ტომსონის მიერ ელექტრონის აღმოჩენასთან ერთად) ძირფესვიანად შეარყიეს მატერიის შესახებ მოძღვრების ზოგიერთი ძველი ფესვგადგმული შეხედულებები.

და ამ აღმოჩენათა ჯაჭვში ერთერთი უდიდესი უსათუოდ არის რადიაქტიური ელემენტების აღმოჩენა მ. და პ. კიურის მიერ.

თავისი სადოქტორო დისერტაციისათვის მარია კიურიმ აირჩია ურანის სხივები, კერძოდ ამ სხივების ინტენსივობის გამორკვევა. ეს კვლევითი მუშაობა იმდენად საინტერესო და დიდპერსპექტივიანი აღმოჩნდა, რომ პ. კიურიმ გადასდო თავისი საკუთარი მუშაობა და შეუდგა ცოლთან ერთად მუშაობას.

ქიმიკოსისა და ფიზიკოსის ამ შეერთებული ძალღონისა და უმძიმეს ტექნიკურ პირობებში გმირული მუშაობის შედეგი იყო ორი რადიაქტიური ელემენტის — პოლონიუმისა და რადიუმის აღმოჩენა 1898 წ. მიწურულში (იხ. გაზ. „კომუნისტი", № 294, 1938 წ. 26/XII). ესენი იყვნენ რადიაქტიური ელემენტების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ოჯახის პირველი ნაპოვნი წევრები, რომლებსაც განსაცვიფრებელი თვისებები აღმოაჩნდათ. აღმოჩნდა, რომ ისინი გამოჰყოფენ სხივებს, რომლებიც მოქმედებენ ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე, იწვევენ ჰაერის იონიზაციას — მას ელექტრობის გამტარად ხდიან, იწვევენ მთელი რიგი ბუნებრივი და ხელოვნური ნაერთების ნათებას სიბნელეში, მოქმედებენ ცოცხალ ბუნებაზე (აქედან მათი გამოყენება მედიცინაში) და სხვ. მაგრამ ყველაზე შესანიშნავი და გასაოცარი აღმოჩნდა ის, რომ ამ გამოსხივების შემდეგ ეს ელემენტები გარდაქმნას განიცდიან და ამ გარდაქმნის საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს ჩვეულებრივი ტყვია. მაშასადამე, ატომი, რომელიც მანამდე ნივთიერების უკანასკნელ უშლად ნაწილაკად ითვლებოდა, რღვევადი აღმოჩნდა. შემდეგში რადიაქტიურ ნივთიერებათა რღვევის პროცესში მიღებული ერთერთი პროდუქტი — ალფანაწილაკი (ჰელიუმის ატომი) ე. რეზერფორდმა ელემენტთა ხელოვნურად დაშლის მიზნებისათვის გამოიყენა.

1903 წ. მარია კიურიმ მეცნიერების წინაშე უდიდესი დამსახურებისათვის მიიღო ჰემფრი დევის მედალი და ბეკერელთან გაიყო ნობელის პრემია.

1906 წ. პიერ კიურის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, მარია კიურიმ მიიღო მისი კათედრა.

საერთაშორისო რადიოლოგიურ ყრილობაზე ბრიუსელში დადგენილ იქნა რადიაქტივობის უნარის საერთაშორისო ერთეული, რომელსაც მ. კიურის პატივსაცემად „კიური" ეწოდა. 1911 წ. მ. კიურიმ დაამზადა რადიუმის ეტალონი, რომელიც საფრანგეთის ზომა-წონის პალატაში ინახება. იმავე წელს მ. კიური განმეორებით დააჯილდოვეს ნობელის პრემიით.

მ. კიურის 40 წლის მეცნიერული მოღვაწეობა — უმდიდრესი წვლილია მეცნიერების საგანძურში. თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში მ. კიურის კმაყოფილებით შეეძლო თვალი გადაევლო განვლილი გზისათვის და დაენახა, თუ როგორ იქმნებოდა ბუნებრივი რადიაქტიური მოვლენების შესახებ მოძღვრებას გვერდით ხელოვნური რადიაქტივობის მოვლენების და ელემენტთა სინთეზის ზღაპრული სამყარო. ამ უკანასკნელ მუშაობაში ერთი პირველი ადგილთაგანი უკავია მის ქალს ირენ კიური-ჟოლიოს.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში თავისუფლების იდეებით გატაცებული მარია კიური საბჭოთა კავშირის გულწრფელი მეგობარი იყო.

ა. წულაძე.

გ. ი. სტვილია — სახ. ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი

განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში და საფინანსო დისციპლინა

იმ ამოცანების წარმატებით შესრულება, რომლებიც დასახულია სამეურნეო ორგანოების წინაშე მე-3 სტალინურ ხუთწლედთან დაკავშირებით, მოითხოვს მათგან სამეურნეო ანგარიშისა და ფინანსიური დისციპლინის განმტკიცებას და მათ საფუძველზე სოციალისტური დაგროვების შემდგომი ზრდის უზრუნველყოფას.

მხოლოდ ამ ბაზაზე, უყაირათობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და სახალხო მეურნეობის რენტაბელობის დონის ამაღლების ბაზაზე, შეიძლება უზრუნველვყოთ მე-3 სტალინური ხუთწლედით გათვალისწინებული ზრდა სამრეწველო პროდუქციისა და შრომის ნაყოფიერებისა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი მნიშვნელოვანი ამაღლება.

ამხანაგი მოლოტოვი საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამბობდა: „საჭიროა საქმით უზრუნველვყოთ ყურადღება ეკონომიკისადმი, გამოშვებული პროდუქტების ღირებულებისადმი. კარგად უნდა ვიცოდეთ, რა უჯდება სახელმწიფოს თვითეული საწარმოს, თვითეული ორგანიზაციის მუშაობა. ამავე დროს კი ჩვენში ახლაც შეხვდებით ისეთ სამეურნეო ხელმძღვანელებს, რომლებსაც თავისი ღირსების დამცირებად მიაჩნიათ ბალანსში ჩახედვა, ანგარიშგების შესწავლა, სამეურნეო ანგარიშისათვის ზრუნვა. ამ უდაოდგულობას და ეკონომიურ უცოდინარობას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო, როგორც ანტისახელმწიფოებრივ და ანტიბოლშევიკურ პრაქტიკას. მაშინ ჩვენში გაჰქრება უყაირათობის ბევრი ფაქტი".

უყაირათობის ფაქტებს, როგორც სამეურნეო ანგარიშისადმი, საფინანსო დისციპლინისადმი, ბალანსისა და ანგარიშგებისადმი უდიერი მოპყრობის შედეგს, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩვენი პირობებში — ზოგიერთი ჩვენი სამეურნეო ორგანოების მუშაობაში 1939 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდშიც კი.

ამას მოწმობს, მაგალითად, ის, რომ ბევრ ჩვენს სამეურნეო ორგანოში უდიდესი თანხები განყენებულია საკუთარი საბრუნავი საშუალებების სასარგებლო ბრუნვისაგან, იმობილიზებულია სადებიტორო დავალიანებაში, სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა ნორმის ზევით ნაშთებში, კაპიტალურ მშენებლობასა და ზარალში.

ამასვე მოწმობს ის, რომ ბევრ ჩვენს სამეურნეო ორგანოში გადაუხდელია უდიდესი თანხები სამეურნეო ორგანოებისათვის — მომწოდებლებისათვის და სახელმწიფო ბანკისათვის.

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში 1939 წლის მე-2 კვარტალის დასაწყისისათვის მთელი სადებიტორო დავალიანება შეადგენს 20 და მეტ მილიონ მანეთს. მის ზოგიერთ რგოლში სადებიტორო დავალიანება აღწევს ასეთი რგოლებისათვის უზარმაზარ თანხას, როგორც, მაგალითად: ჭიათურის კოოპერაციაში — 713 ათას მანეთს 1939 წლის 1 აპრილისათვის, ცხაკაიას საგარეუბნო სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებაში — 490 ათას მანეთს და ა. შ.

ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, როგორც განსაკუთრებით სამარცხვინო მოვლენა, გაფლანგვა და განიავება, რაც დიდ თანხებში გამოიხატება: სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში 1939 წლის 1 აპრილისათვის — 4,8 მილიონი მანეთი და სახვაჭრობის სისტემაში — 2,2 მილიონი მანეთი ამავე რიცხვისათვის, ხოლო სახვაჭრობის ზოგიერთ განყოფილებაში აღწევს ძალიან დიდ თანხას, როგორც, მაგალითად, ტყიბულის განყოფილებაში — 120 ათას მანეთს.

სადებიტორო დავალიანების დიდი თანხებია აგრეთვე სამრეწველო სახკომატების სისტემებშიც. მაგალითად, კვების მრეწველობის სისტემაში 1939 წლის 1 აპრილისათვის იგი შეადგენს: საქმთავთამბაქოში — 376 ათას მანეთს, შაქრის ქარხანაში — 399 ათას მანეთს, თევზტრესტში — 475 ათას მანეთს, თამბაქონედლეულში — 514 ათას მანეთს, სამტრესტში — 1148 ათას მანეთს, ხორცტრესტში — 2331 ათას მანეთს, კონსერვტრესტში — 4402 ათას მანეთს, სულ კი კვების მრეწველობის მარტო ამ ტრესტებსა და საწარმოებში 1939 წლის 1 აპრილისათვის სადებიტორო დავალიანება შეადგენს თითქმის 10 მილიონ მანეთს.

შეიძლებოდა უფრო მეტი ასეთი ფაქტების მოყვანა, მაგრამ მოყვანილი ფაქტებიც საკმაოდ ადასტურებენ, რომ ჩვენი ცალკეული სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სამეურნეო ანგარიშის, ბალანსისა და ანგარიშგების ერთგვარი შეუფასებლობის შედეგად — მილიონ მანეთობით საკუთარი საბრუნავი საშუალებანი სასარგებლო ბრუნვის გარეშე რჩება და განუსაზღვრელი დროის განმავლობაში მკვდარი ხდება ამ მეურნეობებისათვის.

სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების საკუთარ საბრუნავ საშუალებათა ასეთი გაყინვა დიდად აფერხებს სამეურნეო ორგანოების მუშაობას, იგი წარმოადგენს საკუთარ საბრუნავ საშუალებებში საქმისათვის საზიანო გარღვევების აღმოცენების ერთერთ მიზეზს. და, როგორც ამის შედეგი, სამეურნეო ორგანოების ფინანსიური დაძაბულობის შექმნისა და სამეურნეო გეგმების შესრულების ნორმალური მიმდინარეობის დარღვევათა მიზეზს.

საჭიროა გადაჭრით მოვუღოთ ბოლო მოდუნებულობას სადებიტორო დავალიანების გადახდევინების საქმეში, დავალიანების, რომელიც ამასთან წარმოადგენს ორგანიზაციებისა და კერძო პირების არსებითად უკანონო დაკრედიტებას.

სამეურნეო ორგანოების საკუთარ საბრუნავ საშუალებათა უდიდესი თანხები არ არის სასარგებლო ბრუნვაში და, სადებიტორო დავალიანების გარდა, გაყინულია აგრეთვე სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა ნორმის ზევით ნაშთებში (როგორიცაა: მზა პროდუქცია, ნახევარფაბრიკატები და სხვ.). ამასთან ზოგიერთ საწარმოში და ორგანიზაციაში ასეთ გაყინულ საშუალებათა რაოდენობა აღწევს მილიონობით მანეთს; ასე, მაგალითად, 1939 წლის 1 აპრილისათვის და უფრო შემდგომი თარიღებისათვის სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა ნორმის ზევით ნაშთები შეადგენს: ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში — 1,2 მილიონ მანეთს, მარგანტრესტში — 1 მილიონ მანეთამდე, ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში — 1,6 მილიონ მანეთს, საქკონსერვტრესტში — 2,9 მილიონ მანეთს, სამტრესტში — 2,9 მილიონ მანეთს, „საქართველოს ჩაიში" — 3,4 მილიონ მანეთს, საქვაჭრობაში — 3 მილიონ მანეთზე მეტს და სხვ., ხოლო ყველა ჩამოთვლილ სამეურნეო ორგანოში ერთად — 16 მილიონ მანეთზე მეტს.

სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა ზედმეტი მარაგის დაგროვებაც დაუშვებელია, ვინაიდან, გარდა ამისა, რომ, როგორც სადებიტორო დავალიანება, ჰქმნის საქმისათვის საზიანო გარღვევებს საკუთარ საბრუნავ საშუალებებში, ფინანსიურ დაძაბულობას და სამეურნეო გეგმების შესრულების ნორმალური მსვლელობის დარღვევას, — იგი იწვევს სასაქონლო-მატერიალური ღირებულებებით საწარმოებისა და ორგანიზაციების გეგმიანი მომარაგების დეზორგანიზაციას.

სამეურნეო ორგანოების საკუთარ საბრუნავ საშუალებათა არასწორი განლაგება, მათი გაყინვა დებიტორულ დავალიანებაში და სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა ზედმეტ მარაგში, ცალკეულ შემთხვევებში სხვა მიზეზებთან ერთად, მაგალითად, დაგროვების გეგმების შეუსრულებლობასთან ერთად, იწვევს ფინანსიური დისციპლინის — სამეურნეო მუშაობის ამ ძირითადი კანონის—დარღვევას, რაც გამოიხატება სამეურნეო ორგანოების მიერ სხვა სამეურნეო ორგანოების — მომწოდებლებისა და სახელმწიფო ბანკის წინაშე თავიანთი მიმდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობაში. ფინანსიურ დაძაბულობას შედეგად მოსდევს სამეურნეო ორგანოებისათვის — მომწოდებლებისათვის და სახელმწიფო ბანკისათვის ვადაგასული სესხების გადაუხდელობა. ამასთან სამეურნეო ორგანოებისათვის — მომწოდებლებისათვის კუთვნილი თანხების გადაუხდელობამ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გავლენა მოახდინოს მომწოდებელთა ფინანსიური მდგომარეობის გაუარესებაზე და ჩაშლის საფრთხის ქვეშ დააყენოს მათ მიერ თავიანთი სამეურნეო გეგმების შესრულება; ასე, მაგალითად, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მიერ მახარაძისა და სამტრედიის ფაბრიკებისათვის გაგზავნილი ძაფის ანგარიშების გადაუხდელობის შედეგად—ეს ფაბრიკები მძიმე ფინანსიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და დაირღვა მათი საწარმოო პროცესების ნორმალური მსვლელობა.

1939 წლის 1 ივნისისათვის მომწოდებლების კუთვნილი თანხები და სახელმწიფო ბანკის ვადაგასული სესხები დიდი რაოდენობით, მილიონ მანეთობით, გადაუხდელი აქვთ ადგილობრივი მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატების სისტემებს, სამომხმარებლო კოოპერაციისა და სარეწაო კოოპერაციის სისტემებს. გადაუხდელი თანხების ასეთივე დონე, მაგრამ მარტო მომწოდებელთა მიმართ — აქვთ ადგილობრივ სავაჭროებსა და სხვა უწყებებს.

სამეურნეო ორგანოების საშუალებათა გაყინვა სადებიტორო დავალიანებაში, სასაქონლო-მატერიალურ ღირებულებათა ზედმეტ მარაგში, ზარალში და სხვ., რაც იწვევს სამეურნეო ორგანოების ფინანსიურ დაძაბულობას და, როგორც ამის შედეგს, ფინანსიური დისციპლინისა და სამეურნეო გეგმების შესრულების ნორმალური მსვლელობის დარღვევას, — რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნას ლიკვიდირებული. უყაირათობის ამ ფაქტებისადმი, სამეურნეო ანგარიშისა და ფინანსიურ დისციპლინის დარღვევისადმი შემრიგებლური დამოკიდებულება შემდეგში არ შეიძლება მოთმენილ იქნას. ისინი ზიანს აყენებენ ჩვენს სოციალისტურ მეურნეობას, სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენენ სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ჩვენი სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის ამაღლებისათვის იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანების დონემდე, რომლებიც მათ დაუსახეს პარტიამ, მთავრობამ, მე-3 სტალინურმა ხუთწლედმა.

ამერიკის კონგრესის გადაწყვეტილება

ვაშინგტონი, 2 ივლისი (საქდესი). ამერიკის კონგრესმა მოიწონა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც მიმდინარე საბიუჯეტო წელს უმუშევართათვის დახმარების გასაწევად გაღებული იქნება 1.755 მილიონი დოლარი, რაც 803 მილიონი დოლარით ნაკლებია გასული საბიუჯეტო წლის ასიგნობებთან შედარებით.

ახალი კანონპროექტი მკვეთრად ამცირებს ასიგნობებს უმუშევარი ახალგაზრდობისათვის დახმარების გასაწევად, აუქმებს იმ მინიმალურ განაკვეთებს, რომლებიც პროფკავშირების მიერ დაწესებულია საზოგადოებრივ სამუშაოებზე მომუშავე მუშებისათვის, საგრძნობლად აუარესებს უმუშევარ აქტიორთა მდგომარეობას, ითვალისწინებს ყველა იმ უმუშევრის დათხოვნას, ვინც წელიწადნახევარზე მეტს მუშაობს საზოგადოებრივ სამუშაოებზე და სხვ. ამ ღონისძიებათა შედეგად უმუშევართა არმია რამდენიმე ასეული ათასი კაცით გაიზრდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად ითვლება 11 მილიონზე მეტი უმუშევარი, რომელთაგანაც მხოლოდ 3 მილიონი კაცი მუშაობს საზოგადოებრივ სამუშაოზე. ამ კანონპროექტის დამტკიცებისას პრეზიდენტმა რუზველტმა განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმება ამ კანონის ზოგიერთ პუნქტს, მაგრამ არ შეუძლია არ დაამტკიცოს იგი, ვინაიდან ეს შეაფერხებდა საზოგადოებრივ სამუშაოთა მთელი პროგრამის ცხოვრებაში გატარებას.

ჰელის განცხადება

ვაშინგტონი, 2 ივლისი (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰელი პრესის წარმომადგენლებთან საუბარში, კომენტარს უკეთებდა რა წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილებას, დაჟინებით მოითხოვდა ნეიტრალიტეტის კანონის უფრო სრულად გადასინჯვას და კერძოდ ემბარგოს (აკრძალვის) გაუქმებას იარაღის გატანაზე მეომარ ქვეყნებში. საყოველთაო მშვიდობიანობისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნორმალური საერთაშორისო ურთიერთ განწყობილებით დაინტერესების თვალსაზრისით, განაცხადა ჰელმა, წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება მწუხარების ღირსია. ნეიტრალიტეტის კანონის უფრო ფართოდ გადასინჯვა, ემბარგოს გაუქმების ჩათვლით, დასძინა ჰელმა, არა მარტო საუკეთესო გარანტიაა ამერიკის შეერთებული შტატების ომში ჩაბმის წინააღმდეგ, არამედ იგი ხელსაც შეუწყობდა ომის თავიდან აცილებას.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ წარმომადგენელთა პალატის ასეთ გადაწყვეტილებას ბერლინსა და რომში კმაყოფილებით შეხვდებიან.

რა ხდება გერმანიის დასავლეთის საზღვარზე

ლონდონი, 2 ივლისი (საქდესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ კორესპონდენტმა შემოიარა საზღვარი საფრანგეთსა და გერმანიას შორის ელზასის სექტორში. კორესპონდენტის აზრით, გერმანიის „ზიგფრიდის ხაზი“ ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის დამთავრებული. ამჟამად ხდება იმ რკინიგზის რეკონსტრუქცია, რომელიც გერმანელებმა რეინის გასწვრივ გაიყვანეს. აპენვეიერსა და კელს შორის გაყვანილი რკინიგზის ხაზის გასწვრივ, სტრასბურგის მახლობლად, მინდვრებსა და პატარა მდინარეების ნაპირებზე გაკეთებულია მავთულის ხლართები. კელიდან 6 მილზე, რკინიგზის ჩრდილოეთით, მინდვრებზე საფორტიფიკაციო სამუშაოები სწარმოებს. რასტატიდან კელში მიმავალი გზის გასწვრივ, რომელიც ნორმალური მოძრაობისათვის დახურულია, ყოველ 50 მეტრზე დადგმულია ბეტონირებული სათოფურები.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საქდესის ჩუნცინელ და შანხაელ კორესპონდენტთა ცნობების მიხედვით)

სამხრეთ ჩინეთში

სამხრეთ-ჩინეთის ფრონტზე კანტონის რაიონში ინიციატივა კვლავ ჩინეთის ჯარის ხელშია. 28 ივნისს ჩინეთის ჯარმა იერიში მიიტანა შენკანზე (კანტონის ჩრდილო-აღმოსავლეთით). მეორე დღეს ეს ქალაქი გაწმენდილ იქნა იაპონელებისაგან. კანტონის აღმოსავლეთით ჩინეთის ჯარი შილუნს მიუახლოვდა და 30 ივნისს მასზე იერიში მიიტანა. შილუნსა და ძენჩენს შორის იაპონელთა კომუნიკაციები შეწყვეტილია. იმავე დღეს ჩინელმა პარტიზანებმა იერიში მიიტანეს იაპონელთა პოზიციებზე თვით კანტონის მახლობლად.

სვატოუს რაიონში ბრძოლა გრძელდება. 30 ივნისს იაპონელებმა მას შემდეგ, რაც მათ მაშველი ჯარი მოუვიდათ, იერიში მიიტანეს დენხაიზე (სვატოუს ჩრდილო-აღმოსავლეთით) და დაიკავეს ქალაქის ნაწილი.

ჩინეთის ჯარმა, რომელიც პარტიზანულ მოქმედებას აწარმოებს იაპონელთა წინააღმდეგ ხაინანის კუნძულზე, განდევნა იაპონელები მთელი რიგი პუნქტებიდან, მათ შორის დინ-ანიდან.

ჩინეთის ავიაციის მოქმედება

შანხაი, 2 ივლისი (საქდესი). 30 ივნისს, ღამით, ჩინელთა 54 თვითმფრინავი თავს დაესხა კანტონს. იმავე ღამეს მათ ყუმბარები დაუშინეს ძიანმინს, სინხოის (კანტონის სამხრეთით) და იაპონელთა ბაზ[illegible] სანძაოს კუნძულზე. კუნძულზე დანგრეულია იაპონელთა სამი საწყობი. სანძაოს აეროდრომზე ჩინელებმა მოსპეს იაპონელთა 2 თვითმფრინავი და ჩასძირეს იაპონიის ტრანსპორტი, რომელიც კუნძულთან იდგა.

მდგომარეობა დანციგში

ლონდონი, 2 ივლისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო დანციგიდან იუწყება, რომ ქალაქში სრულიად აშკარად მიმოდიან კენიგსბერგიდან ჩამოსული სატვირთო მანქანები, რომლებსაც სამხედრო ნომრები აქვთ. ცენტრალური ვაგზლის პირდაპირ მდებარე სასტუმრო „ედენი“ რეკვიზირებულია და ოფიცრებს უჭირავთ. აღმოსავლეთ პრუსიაში ტაგენორტსა და ელბინგს შორის მდებარე გზატკეცილი, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, დახურულია კერძო ტრანსპორტისათვის. როტებუდში მიიტანეს სხვადასხვა მასალა მდინარე ვისლაზე პონტონის ხიდის ასაგებად.

გაზეთ „რეინოლდს ნიუსის“ გადმოცემით, გუშინ ღამით დანციგში კიდევ 30 გერმანული ქვემეხი გადმოტვირთეს, რომელთა უმრავლესობაც რკინიგზის ხაზის გასწვრივ და ზოგიერთ მთავარ ქუჩაზე დასდგეს. გერმანიის რამდენიმე სამხედრო რაზმი პოლონეთის რკინიგზის სადგურის პირდაპირ დაბანაკდა. სახლების სახურავებზე დადგმულია ტყვიამფრქვევები. საზენიტო არტილერიის დიდძალი მოსამსახურე აღმოსავლეთ პრუსიიდან არის მოყვანილი. გაზეთის სიტყვით, დანციგის საზღვართან თავმოყრილია პოლონეთის ჯარი.

„თავდაცვის კორპუსი“ დანციგში

ლონდონი, 2 ივლისი (საქდესი). როგორც ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტო დანციგიდან იუწყება, გუშინ საღამოს ფაშისტთა ხელმძღვანელმა წრეებმა აღიარეს, რომ დანციგში შექმნილია „თავდაცვის კორპუსი“. ეს მოხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქუჩებში გამოჩნდნენ გერმანელი მოიერიშეები სამკლაურით: „დანციგერ ჰეიმვერ“. ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობებით, „თავდაცვის კორპუსში“ 4 ათასზე მეტი კაცი ირიცხება.

მოკლე ცნობები

(საქდესის მასალების მიხედვით)

⊙ ივნისში ჩინეთის ჯარის ნაწილებმა ჩასძირეს იაპონიის 11 გემი, მწყობრიდან გამოიყვანეს იაპონიის 44 ტანკი და დაანგრიეს 16 კილომეტრი რკინიგზის ლიანდაგი და 48 კილომეტრი გზატკეცილი.

⊙ ინგლისელი ქალი მედჯ ედი, რომელიც რესპუბლიკურ ესპანეთში მედიცინის დარგში მუშაობდა, სწერს, რომ ფაშისტურ ესპანეთში იმ ესპანელებს, რომლებიც რესპუბლიკელების ეჭვს ქვეშ არიან, სამუშაოს არ აძლევენ, ხოლო ცოლშვილს უარს ეუბნებიან სასურსათო ბარათებზე. ყველა საბავშვო ბაგა დახურულია. ვალენსიაში უმოწყალოდ სცემენ პატიმარ რესპუბლიკელებს.

⊙ პრაღის ერთ-ერთ თეატრში წარმოდგენის დროს, როდესაც პიესის გმირმა წარმოსთქვა სიტყვები: „მე დავიცავ ჩემს სახელმწიფოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისთვის უნდა მოვკვდე“ —მაყურებლებმა ერთსულოვნად იმღერეს ჩეხოსლოვაკიის ნაციონალური ჰიმნი.

⊙ პოლონეთსა და ლიტვას შორის 1 ივლისს ხელმოწერილი იქნა სავაჭრო ხელშეკრულება და სატარიფო ოქმი.

⊙ 3.580 მილიონ დოლარს შეადგენს ამერიკის შეერთებული შტატების გასული საბიუჯეტო წლის (წელიწადი დამთავრდა 30 ივნისს) დეფიციტი. ამჟამად აშშ სახელმწიფო ვალი 40 მილიარდ დოლარს აღემატება.

⊙ მადრიდის სამხედრო ტრიბუნალმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა კულტურის ორ დიდ ესპანელ მოღვაწეს—მეცნიერ-ფილოსოფოსს ლანსელ გაოსს და პოეტ მიგუელ ერნანდესს.

⊙ ფაშისტ ხელისუფალთა ოფიციალური სტატისტიკით ესპანეთის საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულია ესპანეთის რესპუბლიკური არმიის 800.000-ზე მეტი ყოფილი მებრძოლი.

თბილისი. ახალი „ბაღი ლენინის რაიონში. სურათზე: ახალი ბაღის მთავარ შესასვლელთან.

საქდესის ფოტოქრონიკა.

კულტლაშქრობა ხევსურეთში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ბარისახოდან კულტლაშქრობის მონაწილენი ხევსურეთის არაგვის ხეობით გაემართნენ.

მკაცრია და თანაც თვალწარმტაცი ხევსურეთის არაგვი. გველივით დაკლაკნილ-დაგრეხილი მიჰქუხს იგი ვიწრო კლდეებს შორის. აქაფებული, გააფთრებით ებრძვის კლდეებს და, სადაც სუსტ ადგილებს ნახავს, ვეფხვივით ეძგერება, ძირს გამოუთხრის და უზარმაზარ ლოდებს მოაქცევს მთას.

მდინარეს მთის ფერდობებზე საცალფეხო ციცაბო ბილიკები ასდევნებია. ბარელ კაცს ისინი გაუვალი ეჩვენება, შეჩვეული ხევსურები კი მათზე ცხენებს ქენებით მიაქროლებენ, ევლებიან ციცაბო კლდეებს, ჩვენ კი ფორთხვით მივდიოდით ზოგ ადგილებზე.

მზის ჩასვლისას სოფელ ღელისვაკის მთას მიუახლოვდით და მისი გადალახვა მხოლოდ დაბინდებისას შევძელით.

სოფელი ღელისვაკე ალპიური მთის კალთებზეა გაშენებული. აქ სულ 7 კომლი ხევსური ცხოვრობს.

ხევსურები გულთბილად შეგვხვდნენ, სახლში მიგვიპატიჟეს, გვავახშმეს და მოგვასვენეს.

დილას კი ხევსურთა ყვირილმა და ცხენების თქარათქურმა გამოგვაღვიძა. მეზობელ სოფელში თურმე ერთი ოჯახი რიგს იხდიდა (მიცვალებულის წლისთავი) და ამის აღსანიშნავად დოღი მოეწყოთ. ციცაბო კლდეებზე, სადაც ჩვენ თვალები გვიჭრელდებოდა, ხევსურები დოღში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. აღმართზე დიდი სისწრაფით მიაჭენებდნენ კუნთმაგარ, პატარა ტანის ცხენებს და ყიჟინებდნენ, ვიწრო ბილიკებზე ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ.

ღელისვაკელებს ვესაუბრეთ საყოველთაო სავალდებულო სწავლებისა და ძველი მავნე ადათის საკითხებზე, ველაპარაკეთ წვევამდელებს, მოხუცებს, ქალებს.

საინტერესოდ ჩატარდა კულტლაშქრობის მონაწილე ექიმ ვალენტინა ალავიძას საუბარი ხევსურ ქალებთან სამრევლოს გარშემო (სამრევლოს ხევსურები ეძახიან იმ ბინას, სადაც ხევსური ქალები იმყოფებიან ყოველთვიური ავადმყოფობისა და მშობიარობის დროს). ხევსური ქალები უამბობდნენ ექიმს, თუ რა დიდი ტანჯვით იხდიან ისინი ამ საშინელ ადათს. ექიმის ახსნა-განმარტების შემდეგ ისინი ერთსულოვნად ჰკიცხავდნენ ამ მავნე ჩვეულებას.

ხევსურეთში წელს პირველად ტარდება ახალგაზრდობის წითელ ჯარში გაწვევა.

წითელ არმიაში გასაწვევი ახალგაზრდები დიდი სიხარულით მოელიან იმ ბედნიერ დღეს, როდესაც ისინი სამშობლოს მცველთა რიგებში ჩადგებიან. ამ საგანზე საუბარს ისინი დიდი ინტერესით ისმენენ; მაგრამ როდესაც შეიტყვეს, რომ წითელ არმიაში წელს მარტო 1920 წელში დაბადებულებს გაიწვევენ, ბევრს ეს უკვე აღარ მოეწონა. წამოდგა 1918 წელში დაბადებული ხვთისო არაბული და უკმაყოფილოდ და გულდაწყვეტით სთქვა:

— მე რაღა დავაშავე, რატომ არ უნდა მიმიღონ წითელ ჯარში, ჩვენს მთავრობას რომ ომი მოუხდეს, მე ხომ შინ არ უნდა ვიყო, შემასწავლეთ ომის წესები, რათა ჩემი სამშობლო მეც ღირსეულად დავიცვა. ძალიან გთხოვთ აქ ნუ დამტოვებთ, მე მსურს ვიყო წითელარმიელი.

საუბარი მთავრდებოდა, რომ მოგვიახლოვდა სოფელ ბაცალიგოდან სტუმრად ჩამოსული ბეჟინა არაბული, რომელმაც თავზე, ხელებზე და ტანზე 19 ჭრილობა გვიჩვენა. ყველა ეს ჭრილობა მას სისხლის აღების ნიადაგზე მიუღია. სასტიკად ჰკიცხავს ბეჟინა ამ მავნე ჩვეულებას.

ღელისვაკიდან სოფ. ქმოსტსა და როშკაში გავედით. ეს მოწინავე სოფლებია ხევსურეთში, აქ ხალხის უმრავლესობას უკვე დაუგმია ძველი ხატობის წესი. გლეხობის დიდი ნაწილი უკვე თვით ამუშავებს ხატებისათვის ძველად შეწირულ სახნავ მიწებს. თითქმის მოუსპიათ სამრევლოებიც. ხალხი სასტიკად ჰკიცხავს სისხლის აღებას.

ამ სოფლებში დაარსებულია სკოლები, არსებობს კომკავშირის პირველადი ორგანიზაციები. სოფელში ასვლისას შეგვეგებნენ სუფთად ჩაცმული, მანდილმოხდილი, ლამაზი ხევსური ქალები, გაგვიმასპინძლდნენ ლუდით, ხილაუშით (ხევსურული არაყი). განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ ისინი ჩვენს თანმხლებ სოფ. ქმოსტის მასწავლებელს ამხ. თამარ გაგნიძეს, რომელსაც ხევსური გოგონები ყელზე მოეხვივნენ და კოცნა-ალერსი დაუწყეს. მასწავლებელმა ყველას საჩუქარი დაურიგა: ზოგს საპონი, ზოგს კბილის ფხვნილი და ჩოთქი, ტკბილეული. ქმოსტოლებმა როშკამდე გაგვაცილეს. აქ მოეწყო მოლაშქრეთა ბანაკი.

25-26 ივნისს როშკის მიდამოებზე საშინელი ნისლი ჩამოწვა, მთელი დღე წვიმდა. მიუხედავად ამისა, სკოლის შენობის ეზოში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, გვესაუბრებოდნენ წითელ არმიაზე, ჰკიცხავდნენ კულტურულად ჩამორჩენილ ამხანაგებს, რომლებიც ჯერ კიდევ მისდევენ მავნე ადათს. ახალგაზრდებმა ხევსურული საკრავები მოიტანეს, ([illegible])მაში გამართეს. ლამაზი სანახავი იყო ხევსურთა ზეიმი.

როშკელ კომკავშირელებს აინტერესებდათ ხასანის ტბასთან მომხდარი ამბები, და როდესაც მათ XVIII პარტყრილობაზე ამხ. ვოროშილოვისა და მეხლისის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს უკითხავდნენ, ისინი სულგანაბული უსმენდნენ წითელი მებრძოლების გმირობის ეპიზოდებს.

— ჰაუ, ჰაუ, რა ვაჟკაცი ყოფილან! — წამოიძახებდნენ ხოლმე ბიჭები.

თვით მოხუცებიც კი აღაგზნო ჩვენი გმირი წითელი მებრძოლების მამაცობამ.

27 ივნისს როშკიდან სოფელ ბლოს გავემგზავრეთ. აქედან დაიწყება ლაშქრობა რხოტის უძნელეს გადასასვლელზე.

სოფ. როშკა.

თ. ფურცელაძე.

ამხანაგური შეხვედრა ჭადრაკში

ამ დღეებში თბილისის ოპერის თეატრის ბაღში მოეწყო მოძმე უკრაინული ტ. შევჩენკოს სახელობის ხარკოვის დრამატიული თეატრისა და თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მოჭადრაკეთა ამხანაგური შეხვედრა. თამაშში მონაწილეობდა 22 კაცი.

შეხვედრა დამთავრდა თბილისის ოპერის თეატრის მოჭადრაკეთა გამარჯვებით, ანგარიშით 8-3.

ზუგდიდის მუზეუმი

მწერალ იონა მეუნარგიას გარდაცვალების 20 წლისთავთან დაკავშირებით ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა მოაწყო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენა თვალსაჩინოდ ასახავს მწერლის მიერ გავლილ გზას — მის კვლევითს, პუბლიცისტურ - ლიტერატურულ მუშაობას 40 წლის მანძილზე. მასზე წარმოდგენილია მასალები მწერლის ბავშვობის, აღზრდა-სწავლის, ლიტერატურულ-პუბლიცისტური, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და გარდაცვალების შესახებ. გამოფენა შეიცავს 100-მდე ფოტორეპროდუქციას და სურათს, მწერლის სამუშაო კაბინეტს, მის წიგნთსაცავს, ხელნაწერების არქივს და მიწერ-მოწერას ქართველ მოღვაწეებთან (აკაკი, ილია, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ლომაური და სხვ.). აქვე გამოფენილია აგრეთვე მისი უმთავრესი შრომები.

გამოფენა გაიხსნა 20 ივნისს. აქ მოისმინეს მოხსენება ი. მეუნარგიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომლის გამოფენის საშუალებით გათვალსაჩინოებამ დამსწრეთა შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. გამოითქვა აზრი, რომ ზუგდიდის მუზეუმმა, რომელიც აგებულია მხარეთმცოდნეობის პრინციპზე, გააფართოოს გამოფენის მასალები იმ მწერლებზეც, რომლებიც აღნიშნული მუზეუმის სამოქმედო რაიონების ყოფაცხოვრებას, ისტორიული წარსულისა და აწმყოს ამსახველნი არიან.

გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია ა.-წ. 7 ივლისს, საღამოს 8 საათზე, აწყობს

თბილისის მუშკორთა საქალაქო შეკრებას.

რედაქცია სთხოვს ჩვენი გაზეთის ყველა მუშკორებს, კედლის გაზეთების რედკოლეგიის წევრებს და საწარმოთა მრავალტირაჟიანი ნაბეჭდი გაზეთების თანამშრომლებს დაუგვიანებლივ გამოცხადდნენ —ლენინის ქ. № 28, მე-3 სართული.

შავი ზღვისპირა რკინიგზის მშენებლობაზე

შავი ზღვისპირა რკინიგზის მშენებლობის სამუშაოები გაჩაღებულია სოხუმ-გაგრის უბანზე. 15 ივნისისათვის მიწის სამუშაოების თვიური გეგმა რკინიგზის ლიანდაგის გასაყვანად სადგურ სოხუმიდან ეშერის ასაქცევამდე 65 პროცენტით არის შესრულებული.

დაიწყო მზადება ხელოვნურ ნაგებობათა (გზის გამტარების, ხიდებისა და სხვ.) სწრაფი მშენებლობისათვის გუმისტა-ეშერის უბანზე.

○

ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის სამმართველოში მიღებული ცნობების თანახმად, უახლოეს დროში დაიწყება სამუშაო ორი გვირაბის გასაყვანად შავი ზღვისპირა რკინიგზის ტრასის მთიან უბანზე.

ერთდროულად გაიშლება სამუშაოები რკინიგზის ლიანდაგის გასაყვანად შემხვედრი მიმართულებით —სადგურ ადლერიდან სოხუმისაკენ. სადგურ ადლერში იქნება ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებლის კანტორა. ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველობა შავი ზღვისპირა რკინიგზის მშენებლობას ანხორციელებს ორი მიმართულებით. (საქდესი).

ამხ. ბაბილოძე— საკავშირო ფალავანი ტანვარჯიშში

მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე 29 ივნისიდან 1 ივლისამდე მიმდინარეობდა საკავშირო მესამე შეჯიბრება პროფკავშირთა საბჭოს პირველობაზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის 10.000-მდე ტანმოვარჯიშე 73 ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებიდან. საკავშირო პროფსაბჭოს ხაზით პირველობა ტანვარჯიშში მიეკუთვნა საქართველოს ცნობილ ტანმოვარჯიშეს ამხ. ბაბილოძეს, მეორე ადგილზე გამოვიდა ამხ. თაყაიშვილი.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი, 2 ივლისი (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.). საკავშირო პირველობაზე ფეხბურთის გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ ამჟამად მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ერთად უჭირავს მე-5 და მე-6 ადგილი. ორივე გუნდს აქვთ 11 ქულა თვითეულს 20 შესაძლებლიდან. 5 ივლისს ისინი შეხვდებიან ერთმანეთს მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე. 1-ლ და მე-2 ადგილები ამჟამად უჭირავთ „სპარტაკს“ და „ტრაქტორს“, რომლებსაც 20 შესაძლებლიდან აქვთ 14 ქულა თვითეულს. მე-3 ადგილი უჭირავს მოსკოვის „დინამოს“ (13 ქულა 20-დან) და მე-4 —ცდკა-ს (12 ქულა 20-დან). უკანასკნელ ადგილებზე მიდიან „ტორპედო“ და „სტალინეცი“.

„ბ“ ჯგუფში ფეხბურთის პირველობაზე გათამაშებაში თბილისის „ლოკომოტივს“ უჭირავს მე-3 ადგილი. მას აქვს 13 ქულა 16 შესაძლებლიდან.

დღეს კინოებში

რუსთაველი — სოროჩინის ბაზრობა, **ოქტომბერი**—ზურგი და ფრონტი, **დამკვრელი** (ზამთრის) — ესკადრილია № 5, **დამკვრელი** (საზაფხ.) — ალამასების ხეობა, **კომკავშირელი** (ზამთ.) — შემთხვევა პატარა სადგურზე, **კომკავშირელი** (საზაფხ.)—შემთხვევა პატარა სადგურზე, **რ. ლუქსემბურგის სახ.** — ესკადრილია № 5, **სპარტაკი**—დიდი ქალაქის ჩირაღდნები, **26 კომ. სახ.** (საზაფხ.)—შვიდი მამაცი, **კომინტერნი**—ქირურგია, **ს. ორჯონიკიძის სახ. ქ.დ.ც.პ.**—ქირურგია, **ახალი ამბები**—დიადი ფიცი.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

4 ივლისს ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი—ამხ. სიმონიშვილის ლექცია თემაზე: რუსეთის პირველი რევოლუციის სოციალ-ეკონომიური შინაარსი და მისი დამარცხების მიზეზები. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

5 და 6 ივლისს — პრემიერა

ლ. რიშკო

ჯავშნოსანი პოტიომკინი

დირიჟორი აზმაიფარაშვილი.

დადგმა გ. ჟურულისა. მხატვარი პროფ. ი. შარლემანი

საქ. სახელმწიფო საზაფხულო თეატრი და ბაღი

პლეხანოვის პროსპ. № 123. ტელ. № 3-18-50

საზაფხულო თეატრი	ღია ესტრადა
4, 5, 6, 7 ივლისს	4, 5 ივლისს
მუდმ. ადგ. ტალ № 37, 38, 39, 40	ესტრადის საღამოები
ბ. ი. ბოკრუ-კრუპიშევის (მოსკოვი)	დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
ჯაზ-ანსამბლის გასტროლები.	ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის
მონაწილეობენ კაზიმირა მალახოვა და	შესასვლელი ბილეთებით.
სხვ. დასაწყისი საღამოს 9 ს. 30 წ.	ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის
სალარო ღიაა დილის 11 საათ. დღის 3 საათ. და საღ. 6 საათ. 11 საათამდე.	ხელმძღვანელობით.

თბილისის საფეიქრო ინდუსტრიული ტექნიკუმი აწარმოებს მოწაფეთა მიღებას 1939-40 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმი ამზადებს საფეიქრო მრეწველობის ტექნიკოსებს. ტექნიკუმში მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის (შვიდწლედი) კურსდამთავრებული ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 25 წლამდე.

განცხადებების მიღება იწარმოებს 1 ივლისიდან 25 აგვისტომდე, მისაღები გამოცდები კი 25-დან 29 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), 2. რუსული ენა, 3. მათემატიკა (წერა და ზეპირი), 4. ფიზიკა, 5. პოლიტცოდნა.

მეორე კურსზე დაიშვებიან 9 კლასის ფრიადოსნები.

ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი პირველ რიგში, საწარმოო სტაჟის გაუვლელად, მიიღებიან საკავშირო მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დაუსწრებელი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში, რომელშიც სწავლება წარმოებისაგან მოუწყვეტლად სწარმოებს.

ტექნიკუმში შესასვლელად საჭიროა: 1. განცხადება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე, 2. ავტობიოგრაფია, სამი შემოწმებული ფოტოსურათი, 3. განათლების მოწმობა, 4. მეტრიკული ამონაწერი, 5. ჯანმრთელობის მოწმობა, 6. პასპორტი.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით და მიღებულთა 40%—ზინით.

მისამართი: თბილისი, დიდუბე, ბრძოლის ქუჩა № 108-ა, მაუდის ფაბრიკასთან.

1099 **დირექცია**

საქართველოს კომუნალური მშენებლობის სახ. კომისარიატი თბილისის კომუნალური მშენებლობის ტექნიკუმი აცხადებს მიღებას 1939-40 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმი ამზადებს სპეციალისტებს (ტექნიკოსებს ფართო პროფილით) შემდეგი განხრებით: 1. სამოქალაქო-სამშენებლო და 2. სამშენებლო-საარქიტექტურო. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 15-დან 25 წლამდე. ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ავტობიოგრაფია, 2. პასპორტი (წარმოადგენს პირადად გამოცხადების დროს), 3. არასრული საშუალო სკოლის (შვიდწლედის) დამთავრების მოწმობა, 4. ჯანმრთელობის მოწმობა, 5. ორი ფოტოგრაფიული სურათი, გადაღებული უქუდოდ, 6. სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების საბუთი და 7. ავტობიოგრაფია. ტექნიკუმში მისაღები გამოცდები იწარმოებს 25 აგვისტოდან შემდეგ საგნებში: 1. მათემატიკა—წერითი და ზეპირი, 2. ქართული ენა და ლიტერატურა, 3. ისტორია, 4. რუსული ენა და ლიტერატურა, 5. ხაზვა.

შენიშვნა: საამშენებლო-საარქიტექტურო სპეციალობაზე შემსვლელთათვის სავალდებულოა დამატებით გამოცდა ხატვაში.

მუშფაკ, ათწლედ და არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები ტექნიკუმში მიიღებიან უგამოცდოდ.

ტექნიკუმში ჩარიცხული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან ტრანსპორტით, საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

განცხადებები მიიღება 25 აგვისტომდე ყოველდღე, დილის ცხრა საათიდან ღამის სამ საათამდე, ტექნიკუმის კანცელარიაში.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, საბურთალო, კომბაინერთა ქ. № 49. ტელეფონი 3-79-43.

212 **ტექნიკუმის დირექტორი ა. ჭავჭანიძე.**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია

აცხადებს, რომ ა. წ. 7 ივლისს საღამოს 8½ საათზე ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკის ესტრადის თეატრში შესდგება ინსტიტუტის საბჭოს

საზეიმო სხდომა

მიმდინარე წელს ექიმების გამოშვებისადმი მიძღვნილი.

დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

684 **დირექცია.**

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა მოსამზადებელი კურსები, რკინიგზის მე-5 სკოლასთან არსებული (კალინინის, 51), **გადავიდა ახალ ბინაზე** ბელგიის ქ. № 4, მე-27 სკოლაში.

მსურველს ყოველგვარი ცნობების მიღება შეუძლია საღამოს 6—10 საათამდე.

2371

სხვადასხვა სარეწაოთა კავშირში შემავალ არტელ „ქიმშრომას“ დასკვნითი ბალანსი 1939 წ. 1 იანვრისათვის

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	ძირითადი საშუალებანი	49138—84
2	ნედლეული და მასალები	19566—20
3	პროდუქცია და საქონელი	13810—64
4	ფულადი საშუალებანი	57517—38
5	საშუალებანი ანგარიშსწორებაში . . .	13806—33
6	განყენებული საშუალებანი	55847—86
	ბალანსი. . .	209687—25

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	ფონდები	56807—27
2	მიზნობრივი რეზერვები	865—50
3	გრძელვადიანი კრედიტები	10322——
4	ანგარიშსწორებანი	44259—01
5	დაგროვებანი	97433—47
	ბალანსი. . .	209687—25

მოგება-ზარალის ანგარიში

1.	ხარჯები და ზარალი სხვადასხვა	2617—75
	სულ . .	2617—75
2.	დაგროვებანი	97433—47
	ბალანსი . .	100051—22

1.	შემოსავალი რეალიზაციით	97927—47
2.	სხვადასხვა შემოსავალი	2123—75
	სულ . .	100051—22
3.	დანაკარგები	—
	ბალანსი . .	100051—22

ბალანსი დამტკიცებულია სხვადასხვა სარეწაოთა კავშირის საბალანსო კომისიის მიერ 1939 წ. 19 თებერვალს, ოქმი № 1.

არტელის თავმჯდომარე **თეიმურაზოვი.** მთ. ბუღალტერი **ლ. ავაქოვი.** 1072

ორჯონიკიძის რაიონის გან. განყოფილების თანამშრომლები ა. მაჭარაშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, მ. მანტკავა, კ. სიჯინავა, ნ. ინასარიძე, ო. შარაბიძე, ლ. ნორაკიძე, ბ. გოცაძე, ნ. გეხტმანი მწუხარებით იუწყებიან მოსე ფირცხალაიშვილის მეუღლის **ტასიკოს** გარდაცვალებას. 2363

მ. აბაშიძე, ა. ხუსკივაძე, ლ. ცურინოვა, ქ. ყურაშვილი, რ. აბაშიძე, ი. ლაბაძე, ლ. კოტრიკაძე, ს. არუთინოვი თანაგრძნობას უცხადებენ მოსე ფირცხალაიშვილს მისი მეუღლის **ტასო აბრამის-ასულ ფირცხალაიშვილის** გარდაცვალების გამო. 2377

დამწუხრებული მშობლები თადეოზ და საშა, ძმა მიშა, ბიძები ლუკა, ივანე და პავლე ქოიავები იუწყებიან **ვენერა თადეოზის-ასულ ქოიავას** გარდაცვალებას ბათუმში. დაკრძალვა 6/VII, ს. აბაშაში. 2387

მშობლები ზოსიმე, ანასტასია, ძმა მიშა, დები ვერა, ნადია, სიძე გ. მახარაძე იუწყებიან, რომ 6/VII, 2 ს. ბათუმში სოუქსუს სასაფლაოზე დანიშნულია **კონსტანტინე ზოსიმეს-ძე ჭანტურაიას** სამოქალაქო პანაშვიდი. 2370

თბილისის საბჭოს კარიერების სამმართველოს დირექცია და თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. ტ. ფონიას დისწულის პატარა **ნელი გვაზავას** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 4/VII, 5 ს. სოხუმის, 7. 2378

მშობლები თამარ, ანტონ, და ზენაბ, ბებია მართა, ბაბუა ვლადიმერ ხინტკირიები იუწყებიან **პატარა დალილას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4/VII, 7 ს. გამოსვენება 5/VII, 5 ს. ჩელიუსკინელების, 7. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2379

დამწუხრებული მშობლები ოლია, ილიკო, ძმა გიორგი, დები ნინო (კამუ), თინა წვერავები იუწყებიან, რომ 6/VII, ქ. წულუკიძეში დანიშნულია დაუვიწყარ **ნაზიკო ვალიკოს-ასულ წვერავას** სამოქალაქო პანაშვიდი. 2386

მეუღლე სერგო, შვილი იზოლდა, იესე, ოლღა, ვანო, ცუცა ვადაჭკორიები, საშურა, კასიანე ლომთათიძეები იუწყებიან, რომ 6/VII, ბათუმში სოუქსუს სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ **ქსენია სურმავა-ვადაჭკორიას** პანაშვიდი. 2380

დამწუხრებული მშობლები ანიკო, გრიგოლ კიკნაძეები, დები ნინო ქმრით იოსებ ხიდირბეგიშვილით, თამარ ქმრით ივანე სიხარულიძით იუწყებიან, რომ 6/VII, 7 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ **ელიკო კიკნაძის** პანაშვიდი. 2382

მეუღლე ალიოშა, მამამთილი სამსონ, დედამთილი პელაგია, მაზლი რუბენ, მულები ფეფო, ვარო კუპრაშვილები, სიძეები ა. ცერცვაძე, რ. გოგიაშვილი შვილებით იუწყებიან საყვარელ **მართიკო გრძელიშვილი-კუპრაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4/VII, 6 ს. საჩხერეში. 2383

ა. კონწურაშვილი, კ. ენუქიძე, უ. და ა. დავითაშვილები, ბ. ჭაბუკიანი, ს. ჩიტაევი, გ. ვაშაძე, მ. ერიქაშვილი, უ. უვანია, ლ. ვარდოშვილი, დ. ამირანაშვილი, მ. ქარუმიძე, ნ. ჩხიკვაძე იუწყებიან ნინო დემურიშვილის მამის **ივანე დემურიშვილის** გარდაცვალებას. 2384

საქენერგოს 1-ლი რაიონის და დაცვის სამსახურის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის ნინო ნერენოვას საყვარელი დედის **ანას (გოგოლა)** გარდაცვალებას. 2381

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული—692